# ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

19 თებერვალი, 2015

## 1. წინასიტყვაობა

წინამდებარე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) საექსპლუატაციო მითითების განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების მესამე პროექტის (რგპ III) განხორციელების მიზნით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი აღწერს საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს რგპ III-ის დაგეგმვის, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ეროვნულ კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემულია რგპ III-ის განხორციელების პროცესში საჭირო სამოქმედო გეგმები, მითითებები, სამშენებლო ნორმები, წესები და პროცედურები. იგი იძლევა ეტაპობრივ მითითებებს რგპ III-ის ცალკეული ქვე-პროექტების გარემოსდაცვით სკრინინგთან, კლასიფიცირებასთან, დამტკიცებასა და მონიტორინგთან დაკავშირებით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში ასევე, განხილულია გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმები, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა; დოკუმენტი ასევე იძლევა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვასთან დაკავშირებულ ინსტიტუციონალურ შესაძლებლობათა შეფასებას და აღწერს კონკრეტულ უბანზე ჩასატარებელი ეკოლოგიური შემარბილებელი ზომების დაგეგმვისას განსახორციელებელ პრინციპებს, ამოცანებსა და მიდგომებს

## 2. პროექტის შინაარსი

ოთხწლიანი (2008-2012) სწრაფი წინსვლისა და განვითარების, მაღალპერსპექტიული რეფორმებისა და ფინანსური ინვესტიციების ინტენსიური შემოდინების შემდგომ პერიოდში, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტისა და გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველომ მკვეთრი ეკონომიკური დაცემა განიცადა. კრიზისს ქვეყნის ხელისუფლებამ უპასუხა ანტიციკლური ფინანსური სტიმულირებით, რის პარალელურადაც განხორციელდა საზოგადოებრივი დანახარჯების მიზნობრივი მიმართვა სოციალური და ინფრასტრუქტურული ინვესტირებისკენ. გაზრდილი ექსპორტისა და კერძო ინვესტიციების ხარჯზე მიღწეულ ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად ხელისუფლება თანდათანობით ამცირებს აღნიშნულ სტიმულს და მიმართავს ფისკალური რეგულირების მეთოდს მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური აღმავლობის ღონისძიებათა კომპლექსის ნაწილია მთავრობის მიერ რამდენიმე ახალი ინიციატივის წამოწყება ქვეყნის შერჩეულ რეგიონებში (თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი) კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ტურიზმი აღიარებული იქნა, როგორც ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვანი

წყარო. ისეთ პერსპექტიულ რეგიონებში, როგორიცაა მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის, სასოფლო-სამეურნეო მიმწოდებელთა არხების ინვესტიცირებით ეკონომიკის გარდაქმნის მხრივ როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ჩასანაცვლებლად საქართველოს პოტენციალი ბოლომდე რეალიზებული არ არის. გარდა ამისა, აუცილებელია პროფესიონალური უნარ-ჩვევების განვითარება პროფესიონალი სამუშაო ძალის უზრუნველყოფის მიზნით, რაც აუცილებელია ეკონომიკის წინსვლისა და შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად.

საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს, მხარი დაეჭირა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების პროცესისთვის ვერტიკალური პროგრამული მიდგომის გამოყენებით. ჩარევის ზომების შემოთავაზებული პროგრამის ორი ძირითადი ორიენტირია ტურიზმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალები. ამჟამად იმერეთისა და კახეთის რეგიონებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება ორი ანალოგიური პროექტი.

## 3. განვითარების ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და რგპ III პროექტი

### ა) განვითარების რეკომენდებული ამოცანები

პროექტის განვითარების ამოცანაა ინფრასტრუქტურული მომსახურეობის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის უბნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

**შედეგების ინდიკატორებში შედის:**

ინფრასტრუქტურული მომსახურეობა:

- საპროექტო უბნების წყალმომარაგების დღიური საათების რაოდენობის გაზრდა;
- შერჩეულ ტურისტულ ატრაქციებზე მისადგომი გზების გაუმჯობესება.

**ტურიზმის ეკონომიკა:**

- სამიზნე უბნებში კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდილი მოცულობა;
- სასტუმროში ადგილების გაზრდილი რაოდენობა შერჩეულ არეალში.

**ინსტიტუციონალური პოტენციალი:**

- ტურისტული გაყიდვის პუნქტების გაზრდილი რაოდენობა (ტურ-პროდუქტების საწარმოები, მაგ., მუზეუმების, გაუმჯობესებული პუნქტების, სასტუმროების, საოჯახო სასტუმროებისა და პანსიონების, რესტორნების, საიტზე შესასვლელი ბილეთის სალაროებისა და სხვ. საერთო რაოდენობა).
- მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დესტინაციის მართვის ორი რეგიონული ოფისის შექმნა.

პროექტის მიხედვით დაფინანსებისთვის შემოთავაზებული უბნები/ქვე-პროექტები შეიძლება, დავაჯგუფოთ ორ კატეგორიად:

- ურბანული განახლება ქ. დუშეთში, ყაზბეგსა და აბასთუმანში და ასევე, მცირემასშტაბიანი მზარდი ინვესტირება ქ. მცხეთაში, გუდაურში, ბაკურიანში, ბორჯომსა და ახალციხეში. შესაძლოა დამატებითი ინვესტირება ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ხევსურეთში.
- უბნის გაუმჯობესებული მენეჯმენტი და ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მისასვლელი გზების აგება კულტურული მემკვიდრეობის ცხრა უბანზე: საფარის მონასტერი, საროს ეკლესია და დარბაზული ტიპის სახლები, ზარზმის მონასტერი, ვანის ქვაბები, ხერთვისის ციხე, ახალქალაქის ციხე-დარბაზი, ანანურის ციხე, გერგეტის წმ. სამების ტაძარი და შატილი.

### ბ) პროექტის განხორციელების გეგმა

რგპ III შედგება ორი კომპონენტისგან:

კომპონენტი 1: ინვესტირება ინფრასტრუქტურაში (55 მლნ. აშშ დოლარი, IBM)

კომპონენტი 1.1: ურბანული განახლება და წრიული გზის განვითარება (45 მლნ. აშშ დოლარი). ამ კომპონენტით ფინანსდება: ურბანული განახლება, მათ შორის ძველი ქალაქების და სოფლების (სკრინინგისა და შერჩევის გზით); შენობების ფასადების, საზოგადოებრივი თავშეყრის უბნების, მუზეუმების, გზებისა და წყლის მილების აღდგენა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნების გაფართოება, მათ შორის მისადგომებისა და წარმოდგენის მეთოდების გაუმჯობესება. პროდუქტის განვითარებისა და მარკეტინგის პოტენციალის, ინფრასტრუქტურის საჭიროებებისა და დასაქმების დონის გათვალისწინებით, პროექტი ფოკუსირდება წრიული გზის გასწვრივ არსებულ უბნებზე, რომლებიც აერთებს შერჩეულ მემკვიდრულ, ბუნებისა და სათხილამურო უბნებს.

კომპონენტი 1.2: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა კერძო ინვესტიციების მოსაზიდად (10 მლნ. აშშ დოლარი). რეგიონში კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მოცემული კომპონენტი მიზნად ისახავს, კონკრეტული რაოდენობის კერძო პირების მხარდაჭერასა და მოზიდვას საპროექტო უბნებზე, რომლებიც გამოავლენენ ინტერესსა და უნარს, დააბანდონ თანხები აგრობიზნესში და დამატებით ეძებენ ისეთ საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას, რომლებიც უზრუნველყოფს მათი ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობას (მაგ., საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები დაფინასებული პროექტების მახლობლად, გზა/ტროტუარი, წყალმომარაგება/კანალიზაცია, კომუნიკაციები, მთავარ წრიულ გზაზე მისადგომი გზები და სხვ.).

კომპონენტი 2: ინსტიტუციონალური განვითარება (5 მლნ. აშშ დოლარი, IBM)

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ეროვნული მუზეუმის, მგფ-სა და სხვა ადგილობრივი და რეგიონული პირების ინსტიტუციონალური შესაძლებლობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება შემდეგი ამოცანების განხორციელების პროცესში: დესტინაციების მართვა და განვითარება, მათ შორის "აუთრიჩის" კამპანია: მარკეტინგი და წახალისება; კვალიფიციური სამუშაო ძალის უზრუნველყოფა და პოტენციალის ამაღლება; ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევები, დაპროექტება, მშენებლობა და

ზედამხედველობა და კულტურული მემკვიდრეობის უბნის მდგრადი მართვა; სამუშაოს ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების ოპერაციები.

პროექტის საერთო ღირებულება

რგპ III განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობამ მოთხოვა მსოფლიო ბანკს 60 მილიონის დაფინანსება. პროექტის საერთო ღირებულებაა 75 მილიონ აშშ დოლარი, საიდანაც 15 მილიონის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ.

პროექტი განხორციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

## 4. ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ჩარჩო

### 4.1. ინსტიტუციონალური ჩარჩო

მოცემულ თავში აღწერილია რგპ III-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პროცესი. ეს თავი პროექტის შემსრულებლებსა და პარტნიორებს აძლევს შესაბამის მითითებებს.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

მუნიციპალური განვითარების ფონდი წარმოადგენს სააგენტოს, რომელიც პასუხს აგებს წინამდებარე პრეოქტის განხორციელებაზე. მგფ-ს დახმარებას უწევენ რიგი სხვა სამთავრობო დეპარტამენტები და კერძო სააგენტოები პროექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში. მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურეობაში სახსრების ინვესტირებას და ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურეობის მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას.

ფონდი პასუხს აგებს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან და სხვა დონორებისგან მიღებული თანხებისა და იმ შემოსავლების მართვაზე, რომელსაც ფონდი იღებს ფონდის სესხების ძირითადი თანხისა და პროცენტის სახით, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი და რეგიონული ინფრასტრუქტურის, საინვესტიციო პროექტებისა და მომსახურეობის სფეროში ტექნიკური დახმარების დასაფინანსებლად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მის მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში პასუხისმგებელია პროექტების/გეგმებისა და გზშ კვლევების შესყიდვაზე და ასევე, მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. შესყიდვებს ფონდი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დონორი ორგანიზაციების ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების დაცვით. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხს აგებს დონორი ორგანიზაციების ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების ზომების გამოყენებაზე. მგფ პასუხისმგებელია წინამდებარე გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების დაცვაზე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვას რგპ III-ის თანახმად განახორციელებს მგფ მის სტრუქტურაში შემავალი გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის მეშვეობით.

გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სტრუქტურა ასეთია: სამსახურის უფროსი, სამი გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, განსახლების ორი სპეციალისტი, სოციალური და გენდერული საკითხების ერთი სპეციალისტი და უსაფრთხოების ერთი სპეციალისტი.

უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობათა სფეროში შედის:

- გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მართვა;
- საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებთან (მათ შორის, მოქალაქეთა მონაწილეობასა და გენდერულ მოთხოვნებთან) და გარემოსდაცვით და განსახლების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშების, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებების ანგარიშების, გარემოსდაცვითი მართვის გეგმებისა და განსახლების კანონმდებლობის გაცნობა და ხარისხის უზრუნველყოფა;
- უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის საჭირო ზომით მონაწილეობის უზრუნველყოფა მგფ-ს ყველა საქმიანობაში, რომელიც საჭიროებს უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებას;
- მგფ-ს მიერ განხორციელებული საქმიანობების გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის შეფასება და უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენების შესახებ შიდა და გარე დამკვეთებთან, ასევე, მარეგულირებელ ორგანოებთან ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფა;
- მგფ მენეჯმენტის შეცვლა კონტრაქტორების უსაფრთხოების ეფექტურობის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და გამოსწორების ზომების შეთავაზება;
- უსაფრთხოების დოკუმენტაციის შინაარსის გასაჯაროება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის დოკუმენტითა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მმართველი პრინციპების დაცვით, კონსულტაციების ორგანიზება პროექტში მონაწილე მხარეებთან მგფ-ს საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესახებ და გადაწყვეტილებების მიღება უსაფრთხოების საკითხების ამსახველ დოკუმენტაციაში საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინების შესახებ.

ერთი გარემოსდაცვითი სპეციალისტი სრულად არის ჩართული რგპ III-ის ყველა ქვე-პროექტის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში და მისი პასუხისმგებლობის სფერო არის შემდეგი:

- გარემოსდაცვითი სკრინინგი და შემოთავაზებული ქვე-პროექტების კლასიფიკაცია და იმის დადგენა, თუ რამდენად ექვემდებარება აღნიშნული ქვე-პროექტები დაფინანსებას რგპ III-ის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით;

- გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შედგენა და მათი წარდგენა სამსახურის უფროსისადმი, რომელიც გაეცნობა გეგმებს და წარუდგენს მათ მსოფლიო ბანკს;
- გარემოზე ზემოქმედების მართვის საკითხებთან დაკავშირებული პარაგრაფების მომზადება პროექტის შეფასების ანგარიშისათვის;
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების პროექტების შედგენა გასაჯაროების მიზნით და საჯარო განცხადებების გაკეთება პროექტის ორგანიზატორებთან საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ განსახლების სპეციალისტთან ერთად;
- პროექტის ორგანიზატორებთან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების შესახებ ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობა, კონსულტაციების ოქმების შედგენა, ფოტოსურათების გადაღება და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციისა და ხელმოწერების შეგროვება;
- ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი მონიტორინგის ჩატარება და მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება საველე მონიტორინგის საკონტროლო ბარათების შევსებით და ფოტო-დოკუმენტაციის შექმნა;
- უსაფრთხოების სამსახურის უფროსისადმი გარემოსდაცვითი ზომების ანალიზის ამსახველი სტატიების წარდგენა სამუშაოების შესრულების ამსახველ საერთო ანგარიშში ჩასართავად.

განსახლების ორი სპეციალისტი სრულად არის ჩართული რგპ III-ის ყველა ქვე-პროექტის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში და მათი პასუხისმგებლობის სფერო არის შემდეგი:

- მოთხოვნილ ზემოქმედებათა შეფასებათა შესრულების, ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების აღწერებისა და სოციალურ-ეკონომიკური გამოკითხვის დაგეგმვა და ზედამხედველობა;
- ზემოქმედების შეფასების ჩატარების ზედამხედველობა;
- საზოგადოების ინფორმირებულობისა და კონსულტაციის პროგრამის შემუშავება და ზედამხედველობა მის შესრულებაზე;
- პრეტენზიებისა და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმების შემუშავება და ამ მექანიზმების მუშაობის მონიტორინგი;
- მუშაობა შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან ზეგავლენის ქვეშ არსებული ქონების იურიდიული სტატუსტის დასადგენად, დაკანონებადი ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ლეგალიზებისა და საკომპენსაციო პროტოკოლებისა და კონტრაქტების შედგენის მიზნით;
- განსახლების მოთხოვნილი სამოქმედო გეგმების შედგენა და მსოფლიო ბანკთან კომუნიკაცია განსახლების სამოქმედო გეგმების განხილვის პროცესში და განხილვის პროცესზე დასწრება;
- მგფ-ს დახმარება და კომუნიკაცია მსოფლიო ბანკთან განსახლების სამოქმედო გეგმების წარდგენის პროცესში და სამოქმედო გეგმებზე მსოფლიო ბანკის/სამთავრობო დასტურის მოპოვება თითოეული ქვე-პროექტისთვის;

- საჩივრების დაკმაყოფილების პროცესის მონიტორინგი საბოლოო საჩივრებისა და პრეტენზიების დადგენით და საჭიროების შემთხვევაში – დახმარების გაწევა მათ საბოლოოდ გადასაჭრელად;
- რეაბილიტაციის ამოცანების შესრულების, კომპენსაციების გაცემისა და დროებითი და მუდმივი განსახლების პროცესის მონიტორინგი და ზრუნვა იმაზე, რომ სამშენებლო სამუშაოები არ დაიწყოს, სანამ არ მოხდება ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების სასარგებლოდ რეაბილიტაციის ზომების მიღება/კომპენსაციის გაცემა;
- მონიტორინგის დამოუკიდებელი სააგენტოს მიერ მომზადებული შესაბამისობის ანგარიშების დაგეგმვა და მონიტორინგი. კომუნიკაცია მსოფლიო ბანკთან და დახმარების გაწევა ანგარიშის გადახედვისა და განხილვის პროცესში;
- განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდგომ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საჩივრების, სასამართლო სარჩელებისა და სხვა საქმეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონიტორინგი;
- ზომების შემუშავება ცხოვრების არსებული სტანდარტის აღდგენის მიზნით. აღნიშნულში შეიძლება, შედიოდეს ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების საცხოვრებლით უზრუნველყოფა, აღნიშნულ პირებთან მუშაობა შემოსავლის აღდგენის შესაძლო გზების დასახვის მიზნით, ისეთი პროექტების მოძიება, რომლებიც ითვალისწინებს საცხოვრებელთან დაკავშირებით დახმარების გაწევას ქვე-პროექტის უბნებზე და ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ხელშეწყობა, ისარგებლონ აღნიშნული შესაძლებლობებით, ასევე ცალკეული ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების დახმარება ცხოვრების სტანდარტის აღსადგენად;
- ცხოვრების სტანდარტის აღდგენის ზომების მონიტორინგი.

გენდერული საკითხების ერთი სპეციალისტი სრულად არის ჩართული რგპ III-ის ყველა ქვე-პროექტის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში და მისი პასუხისმგებლობის სფერო არის შემდეგი:

- იმ ფაქტის უზრუნველყოფა, რომ გენდერული შეფასება გათვალისწინებული იყოს პროექტით გათვალისწინებული კვლევებით და შესრულდეს შესაბამისი ანალიზი პროექტის ფარგლებში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ქმედებების განსახორციელებლად;
- შესაბამისი ზომების შეთავაზება იმის უზრუნველსაყოფად, რომ გენდერული ასპექტები გათვალისწინებული იყოს პროექტით და ისეთი მიდგომების შეთავაზება, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მამაკაცებისა და ქალების თანაბარ მონაწილეობას;
- სამუშაოს შესრულების უბნის ინსპექტირება და პერიოდულად სამუშაოს მსვლელობის ამსახველი ანგარიშების წარდგენა;
- ანგარიშგება საპროექტო ღონისძიებებში მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობის შესახებ.

## ზედამხედველი კონსულტანტები

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შესაძლოა, გააძლიეროს ადგილობრივი ინსტიტუციონალური შესაძლებლობები მისი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის მიზნით უსაფრთხოების ზედამხედველი კონსულტანტების დაქირავების ან შედარებით ფართო კონტექსტში დაქირავებულ მშენებლობის ზედამხედველ კონსულტანტებთან გაფორმებულ კონტრაქტში უსაფრთხოების მონიტორინგის ფუნქციის გათვალისწინების გზით. ასეთი კონსულტანტები შეიძლება, მათზე დაკისრებულ ფუნქციას ასრულებდნენ რგპ III-ის მთელი მსვლელობის მანძილზე ან მისი განხორციელების რაიმე კონკრეტულ ვადაში. უსაფრთხოების ზედამხედველი კონსულტანტების პასუხისმგებლობაში შედის შემდეგი, მაგრამ არა მხოლოდ:

- რგპ III-ის მოქმედი ქვე-პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების საველე გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის განხორციელება;
- საველე გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკონტროლო ბარათების შევსება და ფოტო-დოკუმენტაციის შედგენა;
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმასთან სერიოზული შეუსაბამობის ოპერატიულად შეტყობინება დამსაქმებლისთვის და გამოსწორების ზომების შეთავაზება;
- კონტრაქტორების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ამსახველი ყოველთვიური ანგარიშების წარდგენა დამსაქმებლისათვის, მათ შორის, გამოვლენილი პრობლემების ამსახველი ანალიტიკური სტატიების წარდგენა რეკომენდებული ქმედებებისა და წარსულში გამოვლენილი შეუსაბამობების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ;
- მგფ გარემოსდაცვით, განსახლებისა და სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტთან და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან პროფესიონალური დიალოგის წარმართვა საველე ინფორმაციის გაცვლის, პრობლემებისა და შეთავაზებული მოქმედებების განხილვის მიზნით და დამსაქმებლის ინფორმირება უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა გადაჭრაც გარემოსდაცვითი მართვის გეგმებით არ მომხდარა, მაგრამ რომლებმაც თავი იჩინა ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში.

## მშენებელ-კონტრაქტორი

მშენებელ-კონტრაქტორი პასუხს აგებს სამუშაო კონტრაქტებზე თანდართული და მისთვის სავალდებულო გარემოსდაცვითი მართვის გეგმების სრულად დაცვაზე. კონტრაქტორის მოვალეობაში შედის ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირის დამყარება, რაშიც შედის შემდეგი, მაგრამ არა მხოლოდ:

- სამუშაო უბნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა პერსონალის სასარგებლოდ და სამუშაო უბანზე უცხო პირების შეღწევის აკრძალვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით;

- სამუშაო უბნების სიახლოვეს სამშენებლო კომპანიის დასახელებისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითება სპეციალურ აბრაზე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა შესასრულებელი სამუშაოების ხანგრძლივობა და მათი საერთო სახე;
- ადგილობრივი მოსახლეობის წინასწარ ინფორმირება კომუნალური მომსახურეობის ამორთვების შესახებ, რაც შეიძლება, საჭირო გახდეს ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მსვლელობისას, ასეთი ამორთვების ხანგრძლივობისა და გრაფიკის მითითებით;
- დამსაქმებლის ინფორმირება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემების შესახებ, თუ მათ გადაჭრას კონტრაქტორი ადგილზე ვერ ახერხებს.

გარდა ამისა, მშენებელ-კონტრაქტორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს უბანზე ნებისმიერი საქმიანობა სამუშაო უბანზე შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში და ოპერატიულად შეატყობინოს დამსაქმებელს ასეთი აღმოჩენის შესახებ. კონტრაქტორს ეკრძალება რაიმე ქმედების განხორციელება დამსაქმებლისგან წერილობითი შეტყობინების მიღებამდე.

## ცენტრალური მთავრობის სხვა სააგენტოები

- **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (გბრდს).**

გბრდს-ს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა საქართველოს გარემოს დაცვაზე. გბრდს-ს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი განიხილავს რგპ III-ით გათვალისწინებული იმ მოქმედებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს, რომლებზედაც შეიძლება, საჭირო იყოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, როგორც დაგეგმილ სამუშაოებზე სამშენებლო ნებართვების შემადგენელი ნაწილის, გაცემა. გბრდს -ს ევალება კონტროლის განხორციელება სამშენებლო სამუშაოებზე გაცემული ნებართვების დადგენილ პირობებთან და ვადებთან შესაბამისობაზე.

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განიხილავს ქვე-პროექტების საპროექტო დოკუმენტაციას, რომლებიც შეიძლება, საჭიროებდეს მშენებლობის ნებართვების გაცემას. მშენებლობის ნებართვის გასაცემად სამინისტროს ესაჭიროება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

- **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გასცემს ოფიციალურ თანხმობას ქვე-პროექტებზე მშენებლობის ნებართვების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა უნდა განხორციელდეს ისტორიულ ადგილზე ან კულტურული მემკვიდრეობის ზონაში. ქვე-პროექტის უბანზე მშენებელ-კონტრაქტორის მიერ შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში მგფ აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მისგან მიიღებს მითითებებს შემდგომი მოქმედების შესახებ. მგფ-ს ეკრძალება საქმიანობის განახლება საქართველოს კულტურისა და

ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანხმობის მიღებამდე, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ მიღებულია ყველა ოპერატიული ზომა არქეოლოგიური მემკვიდრეობის დასაცავად.

## 4.2. კანონმდებლობა

### საქართველოს კანონმდებლობა

რგპ III უნდა განხორციელდეს ეროვნულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, კანონებთან, დადგენილებებთან და იმ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში, რომლებიც არეგულირებენ გარემოს დაცვას, სოციალურ დაცვასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას ქვეყანაში. საქართველოში ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო გადმოცემულია საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოქალაქის უფლებას, იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და ყველა მოქალაქის ვალდებულებას, კანონიერ ფარგლებში დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო. ჯანდაცვისა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას ასევე ითვალისწინებს რიგი სამთავრობო სტრატეგიები და საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ქვემოთ მოცემულია რგპ III პროექტის რელევანტური კანონები:

- კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ (1994);
- კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996);
- კანონი წიაღის შესახებ (1996);
- კანონი გარემოს დაცვის შესახებ (1996);
- კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996);
- კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ (1997);
- კანონი წყლის შესახებ (1997);
- კანონი საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995);
- კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ (1998);
- კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ (1998);
- კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999);
- ტყის კოდექსი (1999);
- კანონი საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ (2003);
- კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005);
- კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007);
- კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007);
- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007);

- ნარჩენების მართვის კოდექსი (2014).

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურა საქართველოში მოცემულია შემდეგ სამ კანონში: (ა) კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, (ბ) კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ და (გ) კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2008). აღნიშნული კანონების შესაბამისად, დებულება "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №31 დებულებით და იგი არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ დაკავშირებულია რგპ III-ის განხორციელების მიზნებთან არა მხოლოდ იმის გამო, რომ პროექტით დაფინანსებული ზოგიერთი საქმიანობა შეიძლება, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემას საჭიროებდეს, არამედ იმის გამოც, რომ სამშენებლო მასალის კარიერიდან მოსაპოვებლად რგპ III-ით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად შეიძლება, საჭირო გახდეს რესურსებით მოსარგებლის ლიცენზიის მოპოვება.

## მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა

რადგანაც რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ძირითადი დამფინანსებელია მსოფლიო ბანკი, პროექტის მომზადებისა და განხორციელების ეტაპზე აუცილებლად უნდა შესრულდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები. რგპ III მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად გარემოსდაცვითი კუთხით კლასიფიცირდება როგორ B კატეგორიის პროექტი, რაც ნიშნავს რომ მიმდინარე პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ ის ქვეპროექტები, რომლებიც გარემოსდაცვითი კუთხით მიეკუთვნებიან B ან C კატეგორიას. გარემოს დაცვის კუთხით A კატეგორიის ქვეპროექტები პროექტის ფარგლებში არ დაფინანსდება. მოსალოდნელია, რომ B კატეგორიის პროექტები გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით დაიყონ "მაღალი" და "დაბალი" რისკის შემცველ პროექტებად. შესაბამისად მგფ პროექტის ფაგლებში არსებულ ყველა ქვეპროექტს დაყოფს "მაღალი" B (B+) და "დაბალი" B (B-) კატეგორიებად.

RDP III –ს მოქმედებაში მოყავს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი პოლიტიკები:

1. **OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება.** ბანკი ითხოვს იმ პროექტების გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებას, რომლებზეც მოთხოვნილია ბანკის მხარდაჭერა, იმის საგარანტიოდ, რომ ასეთი პროექტები არ ხასიათდება პოტენციური უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედებით. გარემოსდაცვითი შეფასება წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ჩატარებული ანალიზის მასშტაბი, სიღრმე და ტიპი დამოკიდებულია შემოთავაზებული პროექტის ეკოლოგიური ზემოქმედების ხასიათზე, მასშტაბსა და პოტენციალზე. გარემოსდაცვითი შეფასებით ფასდება პროექტის პოტენციური ეკოლოგიური რისკები და ზემოქმედება პროექტის ზემოქმედების უბანზე; ფასდება პროექტის ალტერნატივები; ისახება პროექტის შერჩევის, ადგილმდებარეობათა შერჩევის, დაგეგმვის, დაპროექტებისა და განხორციელების გაუმჯობესების გზები

უარყოფითი გარემოსდაცვითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანით, შერბილებით ან კომპენსირებითა და დადებითი ზემოქმედების გაძლიერებით; ამას გარდა, გარემოსდაცვითი შეფასება მოიცავს მავნე ეკოლოგიური ზემოქმედების შერბილებისა და მართვის პროცესს პროექტის განხორციელების მთელს პერიოდში. გარემოსდაცვითი შეფასება ითვალისწინებს ბუნებრივ გარემოს (ჰაერი, წყალი და მიწა); ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას; სოციალურ ასპექტებსა და ტრანსსასაზღვრო და გლობალურ ეკოლოგიურ ასპექტებს. მსესხებელი პასუხს აგებს გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებაზე და ბანკი მსესხებელს აცნობებს გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ბანკის მოთხოვნების შესახებ.

2. **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურის რესურსები.** ფიზიკური კულტურის რესურსები განისაზღვრება, როგორც მოძრავი და არამოძრავი ობიექტები, ღირსშესანიშნავი ადგილები, შენობა-ნაგებობათა ჯგუფები და ბუნებრივი თვისებები და ლანდშაფტები, რომელთაც გააჩნიათ არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული, რელიგიური, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა. მათ შეიძლება, ჰქონდეთ ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული კულტურული ღირებულება ან განსაზღვრული იყოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ფიზიკური კულტურის რესურსები მნიშვნელოვანია, როგორც ღირებული სამეცნიერო და ისტორიული ინფორმაციის წყაროები, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების აქტივები და როგორც ხალხის კულტურული იდენტობისა და ტრადიციების განუყოფელი ნაწილი. ბანკი ეხმარება ქვეყნებს მის მიერ დაფინანსებული პროექტების შემუშავების ფიზიკური კულტურის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებაში ან შერბილებაში. მსესხებელი ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების საკითხებს ბანკის დაფინანსებაზე წარდგენილ პროექტებში განიხილავს, როგორც გარემოსდაცვითი შეფასების განუყოფელ ნაწილს. თუ მოსალოდნელია, რომ პროექტი იქონიებს მავნე ზემოქმედებას ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე, მსესხებელი დასახავს ასეთ ზემოქმედებათა თავიდან აცილების ან შერბილების შესაბამის ზომებს, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილს. ასეთი ზომები შეიძლება, იყოს სხვადასხვა მასშტაბის – დაწყებული სრულმასშტაბიანი დაცვითა და სელექციური შერბილებით დამთავრებული, მათ შორის იგულისხმება ქონების გადარჩენაც და დოკუმენტაციის შედგენა იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა ფიზიკური კულტურის რესურსების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა.
3. **OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება.** მოცემული პოლიტიკა ეფუძნება ადგილმონაცვლე პირების დახმარებას, გაიუმჯობესონ ან უკიდურეს შემთხვევაში, აღიდგინონ ცხოვრების ხარისხი. პოლიტიკა ორიენტირდება იმაზე, რომ პროექტის განვითარების ზომები არ იწვევდეს იმ ადამიანების გაღარიბებას, რომლებიც ექცევიან ზემოქმედების ზონაში. როდესაც ადამიანების განსახლება გარდაუვალია, ან იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები კარგავენ აქტივებს ან ზემოქმედება ხდება მათი შემოსავლის წყაროებზე, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რათა მინიმუმ აღდგეს ამ ადამიანების ცხოვრების თავდაპირველი დონე, რომელიც მათ ჰქონდათ საპროექტო ზომების განხორციელებამდე. RDP III–ისთვის შემუშავდება განსახლების ჩარჩო პოლიტიკა, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი და იგი იძლევა MDF-ისთვის ყველა საჭირო მითითებას **OP/BP 4.12** ცალკე დოკუმენტის გამოყენების შესახებ.

4. **OP/BP 4.20 გენდერული თანასწორობა და განვითარება.** ბანკის გენდერული თანასწორობისა და განვითარების პოლიტიკის ამოცანაა, წევრი ქვეყნების დახმარება სიღარიბის შემცირებაში და ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობაში, ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის გზით, რომელიც აფერხებს განვითარებას და ასევე, წევრი ქვეყნების დახმარება, დასახონ და მიაღწიონ გენდერული თანასწორობისა და განვითარების საკუთარ მიზნებს.
5. **OP/BP 7.50 საერთაშორისო საწყლოსნო გზების პროექტები.** საერთაშორისო საწყლოსნო გზები განიმარტება, როგორც მდინარე, არხი, ტბა ან ანალოგიური წყალსატევი, რომელიც არის საზღვარი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, ან ნებისმიერი მდინარე ან ზედაპირული წყალსატევი, რომელიც კვეთს ორ ან მეტ სახელმწიფოს; ნებისმიერი შენაკადი ან ზედაპირული წყალსატევი, რომელიც წარმოადგენს ზემოთ აღწერილი საწყლოსნო გზის ნაწილს; და ნებისმიერი ყურე, სრუტე ან არხი, რომელსაც ესაზღვრება ორი ან მეტი სახელმწიფო, ან თუ იგივე მოქცეულია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იგი აღიარებული უნდა იყოს კომუნიკაციის უცილობელ საშუალებად ღია ზღვასა და სხვა სახელმწიფოს შორის, და ნებისმიერი მდინარე, რომელიც ჩაედინება ასეთ წყლებში. ეს პოლიტიკა გამოიყენება იმ პროექტების მიმართ, რომლებიც გულისხმობს საერთაშორისო საწყლოსნო გზების გამოყენებას ან პოტენციურ დაბინძურებას და მოითხოვს, რომ მიმდებარე სახელმწიფოებს შეატყობინონ პროექტის შესახებ. ეს მოთხოვნა შეიძლება, გაუქმდეს გამონაკლის შემთხვევებში, თუ მსოფლიო ბანკის აზრით, პროექტი არ გამოიწვევს მიმდებარე სახელმწიფოზე გამავალი წყლის ნაკადების ხარისხისა და რაოდენობის არასასურველ ცვლილებებს და მასზე მავნე ზემოქმედებას არ მოახდენს სხვა მიმდებარე სახელმწიფოს წყლის შესაძლო გამოყენება.

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე მოითხოვს, რომ ყველა საინვესტიციო პროექტში ასახული იქნეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები და მათში, სამთავრობის ინტერესებთან ერთად, ინტეგრირებული იყოს კერძო ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები. ამ მიმართებით, მგფ უზრუნველყოფს, რომ ქვე-პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების განხილვის ანგარიში და/ან გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა მოიცავს ზემოქმედდების ქვეშ მყოფ პირებთან მხარეებთან კონსულტაციებს და შესაბამისი დოკუმენტების გამოქვეყნებას.

**განსხვავებები საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს შორის**

მსოფლიო ბანკის მითითებებსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული შემდეგი შეუსაბამობები/განსხვავებები არის დაკავშირებული რგპ III-ის განხორციელებასთან:

- სკრინინგი და კლასიფიკაცია: მსოფლიო ბანკის მითითებებით მოცემულია სკრინინგის, სკოუპინგისა და გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების დეტალური აღწერილობა, ხოლო საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სკრინინგისა და სკოუპინგის ეტაპებს;
- ეკოლოგიური რისკების, კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების, განსახლების საჭიროებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით, მსოფლიო

ბანკი ახდენს პროექტების კლასიფიცირებას A, B და C კატეგორიებად. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გზშ ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეველოპერი აპირებს ისეთი პროექტის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ კანონში მოცემული ჩამონათვალით. აღნიშნული ჩამონათვალი მსოფლიო ბანკის კლასიფიცირებით, შეესაბამება A კატეგორიის პროექტებს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გზშ არ არის სავალდებულო სხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის უამრავი ისეთი პროექტის შემთხვევაშიც, რომლებიც მსოფლიო ბანკის პოლიტიკით, ხვდება B კატეგორიაში;

- საქართველოს კანონმდებლობა არ აზუსტებს გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ფორმატს და მათი წარდგენის ეტაპს ისეთი პროექტებისათვის, რომელთაც ესაჭიროება გზშ და არ მოითხოვს გარემოსდაცვითი მართვის გეგმას იმ პროექტებისათვის, რომელთაც არ ესაჭიროებათ გზშ. მსოფლიო ბანკის მითითებებით გარემოს დაცვის მართვის გეგმა მოთხოვნილია A და B კატეგორიის პროექტებისთვის და მოცემულია დეტალური მითითებები მათი შინაარსის შესახებ;

- საერთო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ასახავს მსოფლიო ბანკის განსახლების უსაფრთხოების პრინციპებს (WB OP 4.12), მაგრამ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი განსხვავება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით/რეგულაციებით, აქცენტი კეთდება საკუთრების ოფიციალურ უფლებებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საკუთრების შეძენა საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის და კომპენსაციების გაცემა, ხოლო OP 4.12 აქცენტს აკეთებს ორივე საკითხზე - მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ზმქ აქტივების კომპენსაციასა და ზმქ პირებისა და ზმქ ოჯახების შემოსავლის წყაროს აღდგენაზე. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების უსაფრთხოების პოლიტიკა ამატებს საქართველოს კანონმდებლობას/რეგულაციებს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ა) ყველა ზმქ პირის/ზმქ ოჯახის ეკონომიკურ რეაბილიტაციას (მათ რიცხვში შედიან ისინიც, რომელთაც არ გააჩნიათ კანონიერი/ოფიციალური უფლებები პროექტის მიერ შეძენილ აქტივებზე), ბ) ბიზნესისა და შემოსავლის დაკარგვის გამო ანაზღაურების გაცემას და გ) სპეციალური დახმარებების გაცემას, რომლებიც ფარავს ზმქ პირების/ზმქ ოჯახების ხარჯებს, დაკავშირებულს განსახლების პროცესსთან ან ითვალისწინებს მწვავე ზმქ პირებისა და მოწყვლადი ზმქ პირების/ზმქ ოჯახების სპეციფიურ მოთხოვნებს. ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობით არ არის მოთხოვნილი განსახლების სამოქმედო გეგმების მომზადების რაიმე განსაკუთრებული ზომის მიღება ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების საფუძველზე.

- მაშინ, როდესაც მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს გასაჯაროება და საზოგადოებრივი კონსულტაციების ჩატარება უსაფრთხოების დოკუმენტაციის შესახებ, ეროვნული კანონმდებლობა აღნიშნულ პასუხისმგებლობას ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელს.

ზემოაღნიშნილი შეუსაბამობების/განსხვავებების გამო, რგპ III-ის განხორციელება უნდა მოხდეს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე მსოფლიო ბანკის სამოქმედო გეგმების მიხედვით. თუ მათ შორის ფიქსირდება განსხვავება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, გამოყენებული უნდა იქნას უფრო მკაცრი მოთხოვნა.

## 5. ბიოლოგიურ-ფიზიკური გარემოს შემაჯამებელი შეფასება და საპროექტო უბანზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

*სამცხე-ჯავახეთი*

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფართობია 6413 კმ$^2$. მისი მოსახლეობა კი შეადგენს 208,000 კაცს. რეგიონი შედგება 6 მუნიციპალიტეტისგან. ადმინისტრაციული ცენტრია ახალციხე. ძირითადი ურბანული ცენტრებია: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე და ნინოწმინდა. მოსახლეობის 69% სოფლის მაცხოვრებელია. ლტოლვილების რაოდენობა დაახლოებით 2300-ია, რომელთა დიდი უმრავლესობა 1992-93 წლების კონფლიქტის შედეგად არის გადმოსახლებული. ეთნიკურობის ფაქტორი მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთში. ეთნიკური უმცირესობები შეადგენს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 57%-ს (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით), რომლის დიდ უმრავლესობას – 54%-ს ეთნიკური სომხები წარმოადგენენ. ბევრმა ოჯახმა არ იცის ქართული, რაც მათ უქმნის კომუნიკაციის პრობლემას სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებთან; მათ შეზღუდული აქვთ უკუკავშირის საშუალება ადგილობრივ დაწესებულებებთან, მათთვის რთულია შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და აქვთ შეზღუდული წვდომა შრომის ბაზარზე.

სამცხე-ჯავახეთი ძირითადად აგრარული რეგიონია. სოფლის მეურნეობის წილი საერთო დამატებით ღირებულებაში შეადგენს 32%-ს. ადამიანები ძირითადად სოფლის მეურნეობით არიან დაკავებული. სოფლის მეურნეობის წილი რეგიონის საერთო დამატებით ღირებულებაში 2006-2011 წლებში იყო დაახლოებით 33%, რაც მეტია რეგიონის სხვა დარგებთან და საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით.

რეგიონში სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ოჯახური მეურნეობებითა და კომერციული ფერმებით. ოჯახური ფერმების 73% აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო სხვებისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროა. სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის ხარისხი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში. სასოფლო-სამეურნეო მიწების ნახევარზე მეტი საძოვარია. მათ მოსდევს სახნავი მიწები. პროდუქტიულობა როგორც მეცხოველეობაში, ისე მემცენარეობაში საკმაოდ დაბალია. რეგიონში მასშტაბური სამრეწველო ობიექტები არ არსებობს. ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეები სამშენებლო მასალებისა და სატყეო მასალის მოპოვებაა. მცირე ხნის წინ დასრულდა ახალი 500/400/200 კვტ ელექტრო ქვესადგურისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ელექტროენერგიის ექსპორტს თურქეთში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გადის სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე 2006 წლიდან.

გაზსადენი, რომელიც აერთებს იმავე დანიშნულების პუნქტებს, გადის იმავე სატრანსპორტო დერეფანში.

სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნაობები და ბუნებრივი ატრაქციები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ახალციხისა და ბორჯომის ისტორიული ადგილები, აბასთუმნის გამაჯანსაღებელი საკურორტო ქალაქი ტრადიციული ხის არქიტექტურული სახლებითა და ობსერვატორიით, ვარძიის მთაში ნაკვეთი მონასტერი და ვანის ქვაბები, ახალციხის ციხე – რაბათი, რომანოვების სასახლე ლიკანში, საფარის მონასტერი, ზარზმის მონასტერი, ხერთვისის ციხე, ფოკას მონასტერი და აწყურის ტაძრის ნანგრევები და ციხე. ბუნების მთავარი ატრაქციებია: ბაკურიანის სათხილამურო საკურორტო ქალაქი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ექვსი ტბა და მათ გარშემო არსებული დაცული ტერიტორია და მსოფლიოში ცნობილი ფრინველებზე დაკვირვების (“ბერდ-ვოჩინგი”) უბანი დაცული ველებითა და ველური ბუნებით.

*მცხეთა-მთიანეთი*

მცხეთა-მთიანეთის ფართობია 6.785 კმ$^2$. მისი მოსახლეობა კი შეადგენს 125,000 კაცს. რეგიონი შედგება 4 მუნიციპალიტეტისგან. ადმინისტრაციული ცენტრია მცხეთა. ძირითადი ურბანული ცენტრებია მცხეთა და დუშეთი. რეგიონში მოსახლეობის 75% სოფლის მაცხოვრებელია. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ. რეგიონში დაახლოებით 10,900 ლტოლვილია, რომელთა დიდი ნაწილი 2008 წლის კონფლიქტის შედეგად არის აქ ჩამოსახლებული.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მიმართულებაა მეცხოველეობა და მეცხვარეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ძირითადად მოყავთ კარტოფილი. რეგიონში დიდი კომერციული მეურნეობები არ არსებობს. ძირითადად ჭარბობს შინამეურნეობები. მცხეთა-მთიანეთი არის ძირითადი სატრანსპორტო დერეფანი, როგორც საერთაშორისო საავტომობილო გზა, რომელიც გადის რეგიონზე და საქართველოსა და სომხეთს აერთებს რუსეთთან და რომელზეც გადააქვთ დიდი რაოდენობით ტვირთი. თუმცა, წელიწადში რამდენჯერმე გზას ბლოკავს მეწყერი და ზვავი. რეგიონზე გადის მთავარი ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი, რომელიც გამოიყენება რუსეთიდან საქართველოსა და სომხეთზე ბუნებრივი გაზის იმპორტის მიზნით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი წარმოადგენს მნიშვნელოვან ტურისტულ დესტინაციას, რომელიც შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში, როგორც ქ. მცხეთა და კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი პროდუქტის განსაკუთრებული პორტფოლიო, რომელთაც მთელი წლის მანძილზე სტუმრობენ უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებია: დუშეთისა და ყაზბეგის ისტორიული ქალაქები ტრადიციული არქიტექტურული სტილით, სვეტიცხოვლის ტაძარი, ჯვრის მონასტერი, შიომღვიმის მონასტერი, ბაგინეთი-არმაზისა და სამთავრო-ძალისის არქეოლოგიური უბნები; ზედაზნის ეკლესია, ბოჭორმის ეკლესია, ანანურის ციხე, გერგეტის წმ. სამების ტაძარი, შატილისა და მუცოს კულტურული

მემკვიდრეობის ისტორიული ფორტიცირებული სოფლები და სნოს ციხე. ბუნების მთავარი ატრაქციებია: გუდაურის სათხილამურო კურორტი და თბილისის ეროვნული პარკი.

## 6. ქვე-პროექტის სკრინინგი და სკოუპინგი

დამპროექტებელი კონსულტანტი, გარემოსდაცვითი სპეციალისტი და სოციალური საკითხების სპეციალისტი ერთობლივად შეასრულებენ ქვე-პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ სკრინინგს (*დანართი 1 და 2*). სკრინინგის ანგარიშები შეიცავს ინფორმაციას შერბილების მისაღები ზომების ძირითადი რისკებისა და სახეების შესახებ. გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიშები შეიცავს დასკვნას იმის შესახებ, შემოთავაზებული ქვე-პროექტი ექვემდებარება დაფინანსებას თუ არა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით და ანიჭებს ქვე-პროექტს გარემოსდაცვით კატეგორიას. ეს ანგარიშები ასევე განსაზღვრავს მეთოდებს, რომელთა გამოყენებაც საჭიროა, თუ ქვე-პროექტი საჭიროებს გარემოსდაცვით განხილვასა და გარემოსდაცვითი მართვის დაგეგმვას. სოციალური სკრინინგის ანგარიში განსაზღვრავს, შემოთავაზებული ქვე-პროექტი ხომ არ გულისხმობს არანებაყოფლობით განსახლებას, ადგენს განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენის აუცილებლობას, განსაზღვრავს ქვე-პროექტით მიღებულ ძირითად სოციალურ სარგებელსა და გამოწვეულ ზარალს და განსაზღვრავს სოციალური შერბილების ზომებს.

ქვე-კომპონენტის 1.2 ფარგლებში დაფინანსებისათვის შემოთავაზებული ქვე-პროექტების სკრინინგი მოიცავს კერძო სექტორის საინვესტიციო ინიციატივების ანალიზს, რომელთათვისაც საჭიროა სახელმწიფო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა რგპ III-ის ფარგლებში. საინვესტიციო ინიციატივების სკრინინგი ხორციელდება რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, 'მისაღებია-მიუღებელია' სისტემის საფუძველზე *(დანართი 3).* დაუშვებელია შემდეგი ტიპის ინვესტიციები: ინვესტიციები განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიებზე; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საზოგადოდ დაცულ ზონებში ან ინდივიდუალურად დაცულ ზონებში; მოწყვლად ეკოსისტემებზე, მნიშვნელოვანი ბინადრობის ადგილებზე, და განსაკუთრებული ესთეტური ღირებულების მქონე გამწვანებაზე ზემოქმედების მქონე საქმიანობები; საქმიანობები, რომელიც მოითხოვს ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, და ალპური/სუბ-ალპური მდელოობის ტრანსფორმაციას; და არსებით დაბინძურებასთან დაკავშირებული სამრეწველო ობიექტები. აგრეთვე, ქვე-კომპონენტის 1.2 ფარგლებში რგპ III-ის მხარდაჭერაზე უფლებამოსილი არ არის ის ქვე-პროექტები, რომლებიც მოითხოვს იმ მიწის გამოყენებას, რომელიც ფორმალურად ან არაფორმალურად ეკუთვნის სხვა პირს, გარდა ინვესტორისა.

უფლებამოსილ კერძო საინვესტიციო წინადადებებს პრიორიტეტი მიენიჭება მათი მოსალოდნელი ეკონომიკური პერსპექტივის, პოზიტიური სოციალური ზემოქმედების და ეკოლოგიურობის საფუძველზე. საინვესტიციო წინადადების შერჩევის შემდეგ, რომელსაც დახმარება უნდა გაეწიოს დაფინანსების იმ ფორმით, რომელიც შეესატყვისება სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ ელემენტებს რგპ III-ის საკრედიტო თანხიდან, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და მართვის დაგეგმვა განხორციელდება ზოგადი წესების მიხედვით, როგორც ეს ქვემოთ არის მითითებული.

## 7. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისა და მართვის დაგეგმვა

ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით, B+ კატეგორიის ქვე-პროექტებისთვის განხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების განხილვა (ESR) სკრინინგის ეტაპზე გამოვლენილი რისკის ზოგად სახეებთან დაკავშირებული ტექნიკური დეტალების განსაზღვრის მიზნით, სკრინინგის ეტაპზე შემოთავაზებული პირველადი შემარბილებელი ზომების ქვე-პროექტის განხორციელების კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანით და გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმების შედგენით. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ცხრილი, რომელიც შედგება შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების ცხრილებისგან, უნდა ადგენდეს ძირითადი შემარბილებელი ზომების საანგარიშო ღირებულებას, შემარბილებელი ზომების განხორციელებასა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების მონიტორინგზე პასუხისმგებელ მხარეებს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შემარბილებელი ზომების ცხრილი იძლეოდეს იმ კონკრეტული ქმედებების დასახელებას, რომლებიც საჭიროებენ შემარბილებელ ზომებს, კონკრეტულ ზომებს საქმიანობის ცალკეულ ტიპებთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად და კონკრეტულ ზომვად მაჩვენებლებს, რომელთა მეშვეობითაც შეფასდება შერბილების ეფექტურობა. გარემოსდაცვითი მართვის გეგმები უნდა მოიცავდეს ქვე-პროექტის როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ფაზებს.

გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ბარათი მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობისთვის (*დანართი 4*) წარმოადგენს B კატეგორიის ქვე-პროექტებისთვის გარემოსდაცვითი მართვის დაგეგმვის საშუალებას. იგი არის შაბლონი, რომელიც ივსება მოკლე ინფორმაციით ქვე-პროექტის ადგილმდებარეობის, მის გარშემო ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს, მიწის საკუთრების, ქვე-პროექტის განხორციელების რელევანტური კანონმდებლობისა და ქვე-პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კონკრეტული ქმედებების შესახებ. საკონტროლო ბარათი შეიცავს მარტივად აღსაქმელ მონაცემებს საქმიანობის სხვადასხვა სახეებზე გამოსაყენებელი შემარბილებელი ზომების შესახებ. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა დგება მგფ-ს მიერ ზემოთ მითითებული მითითებების თანახმად.

## 8. საზოგადოებრივი კონსულტაცია და მოქალაქეების მონაწილეობა სოციალური და გარემოსდაცვითი რისკის მართვაში

რგპ III-ის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს შექმნისადმი და ასევე, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შერბილების დაგეგმვისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული პირების მაქსიმალურ მონაწილეობას საპროექტო საქმიანობაში, უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების დოკუმენტაციის მაღალი ხარისხითა და რეალურად წარმოსადგენად. წინამდებარე გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩოს პროექტის გასაჯაროება მოხდება მგფ-ს ვებ-გვერდის საშუალებით ქართულ და ინგლისურ ენებზე და მის შესახებ კონსულტაცია გაიმართება შესაბამის სამთავრობო და არასამათავრობო დაწესებულებებთან და ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან.

ცალკეული ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი მართვის გეგმებიც ექვემდებარება გასაჯაროებას ორივე ენაზე მგფ-ს ვებ-გვერდზე და მათი ნაბეჭდი ვერსიები ქართულ ენაზე დარიგდება ქვე-პროექტის ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციულ ცენტრებში. ადგილობრივ საზოგადოებას შეატყობინებ ასეთი ნაბეჭდი ვერსიის არსებობისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების საკითხებთან დაკავშირებით უკუკავშირის დამყარების საშუალებების შესახებ. საზოგადოებრივი საკონსულტაციო შეხვედრები ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან გაიმართება ქვე-პროექტის ტერიტორიის სიახლოვეს, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისათვის განხლვის ადგილზე ადვილად მისვლას.

საზოგადოებრივი კონსულტაციის შესახებ გაკეთდება დეტალური ჩანაწერები. შედგება ყველა ჩატარებული შეხვედრის ოქმი, რომელიც შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- რა სახის განცხადებები გაკეთდა შეხვედრაზე, რა მედია-საშუალებით და რა დღეს;
- შეხვედრის ჩატარების დრო და ადგილი;
- შეხვედრაზე დამსწრეთა რაოდენობა;
- შეხვედრის დღის წესრიგი;
- ძირითადი გამომსვლელები და მათ მიერ განხილული საკითხები;
- ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ დასმული ძირითადი შეკითხვები და მათზე გაცემული პასუხები.

ოქმს თან უნდა ახლდეს კონსულტაციის დროს გადაღებული ფოტო-მასალა და დამსწრეთა სიები მათი საკონტაქტო ინფორმაციითა და ორიგინალი ხელმოწერებით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების დასრულება მოხდება მათში შესაბამისი უკუკავშირის მითითებით, ხოლო მათი ხელმეორედ გასაჯაროება მოხდება საკონსულტაციო შეხვედრების თანდართულ ოქმებთან ერთად.

კონსულტაციები ბენეფიციარებთან გაგრძელდება მშენებლობის ფაზაშიც კონსულტანტ-კონტრაქტორების გარემოს დაცვის სპეციალისტების მიერ. წამოჭრილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების და კონსულტაციებისას, საველე ვიზიტებისას, არაფორმალური დისკუსიებისას, თუ ოფიციალური წერილებით მიღებული საჩივრების ჩანაწერები იქნება წარმოებული, რომლებიც შეინახება მგფ-ის ოფისში.

## 9. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

გარემოსდაცვითი მონიტორინგი წარმოადგენს მგფ-ს საზედამხედველო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს პროექტის განხორციელების პროცესში. მგფ პასუხს აგებს იმაზე, რომ სამუშაოების მწარმოებელი კონტრაქტორების უბნის მენეჯერები იცნობდნენ გარემოსდაცვითი მართვის გეგმებს და მუშებზე/პერსონალზე გასცენ მითითება აღნიშნული გარემოსდაცვითი მართვის

გეგმების დაცვის აუცილებლობის შესახებ. მგფ სამუშაოების მწარმოებელ კონტრაქტორებს მოსთხოვს ასფალტის/ბეტონის ქარხნების (თუ მათ ფლობს კონტრაქტორი) ექსპლუატაციისთვის საჭირო გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დროულად წარმოდგენას; ქვის, ხრეშისა და ქვიშის მოპოვების ლიცენზიებს (თუ კონტრაქტორი ამუშავებს კარიერს) და წერილობით შეთანხმებებს ადგილობრივ ორგანოებთან ნარჩენების გატანაზე. მგფ უზანზე ჩაატარებს სამშენებლო სამუშაოების რეგულარულ მონიტორინგს კონტრაქტორის მიერ გარემოსდაცვითი მართვის გეგმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემოწმების, გადაუჭრელი გარემოსდაცვითი პრობლემისა და რისკის გამოვლენისა და დაგეგმილი გამასწორებელი მოქმედებების შესაბამისი წესით გამოყენების შემოწმების მიზნით. გარემოსდაცვითი მართვის გეგმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში მგფ კონტრაქტორებზე გასცემს მითითებას გამასწორებელი მოქმედებების განხორციელების შესახებ და ზედმიწევნით გააკონტროლებს კონტრაქტორის შემდგომ მოქმედებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

მგფ-ს საკუთარი შესაძლებლობები ზემოთ აღწერილი ზედამხედველობის ფუნქციების შესრულებისას შეიძლება გაძლიერდეს დაქირავებული საერთაშორისო საზედამხედველო კომპანიის გამოყენებით. სამშენებლო სამუშაოების გარემოსდაცვითი, კულტურული და სოციალური ასპექტების უგულვებელყოფის ფაქტების გამოვლენა უნდა წარმოადგენდეს ასეთი ზედამხედველი კომპანიის ვალდებულებების განუყოფელ ნაწილს.

## 10. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

ქვე-პროექტების განხორციელებისას შეიძლება, წამოიჭრას გარკვეული პრობლემები გარემოსდაცვით საფრთხეებთან დაკავშირებით და დავები უფლებამოსილების მინიჭების პროცესებთან დაკავშირებით საპროექტო ქმედებების განხორციელებისას. სამშენებლო სამუშაოების დატვირთული გრაფიკით წარმოება, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის არაოპტიმალური გრაფიკი, ნარჩენები, სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ხმაური და ჰაერის დაბინძურება, ეკოლოგიური შეშფოთება წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემების მაგალითს, რომლებმაც შეიძლება, თავი იჩინოს საპროექტო ქმედებების განხორციელებისას.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემის თანახმად, ქვეყანაში არსებობს რამდენიმე პირი, რომელიც პასუხს აგებს მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ეკოლოგიური ხასიათის პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე. ქვე-პროექტის უბნებზე გარემოს დაცვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოებია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციები. ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასა და პროექტის მონაწილეებს შეუძლიათ, პროექტის განხორციელებით გამოწვეულ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები გადაგზავნონ უშუალოდ ხსენებულ გარემოს დამცავ ადმინისტრაციულ ორგანოებში.

დაარსდება საჩივრების განხილვის მექანიზმი ქვე-პროექტების როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით. მგფ-ს, როგორც შემსრულებელ სააგენტოს, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელებაზე და გარემოსდაცვითი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. მგფ ხელს შეუწყობს საჩივრების დაკმაყოფილებას

კონკრეტულ პროქტზე მორგებული საჩივრების განხილვის პროცესის განხორციელების გზით.

### 10.1. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის შექმნა

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი შეიქმნება ყოველ გამგეობაში. მგფ-ს წარმომადგენელი მოახდენს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის შექმნის კოორდინირებას. შემდგომში იგი პასუხისმგებელი იქნება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის საქმიანობაზე და შეხვედრების ორგანიზებაზე. ამას გარდა, საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის შემადგენლობაში შევა სოფლის რწმუნებული ან მისი წარმომადგენელი, ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენლები, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ზმქ პირების ადეკვატური მოსმენა, მათი აზრის გათვალისწინება და მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი შეიქმნება შემდეგი 6 წევრის შემადგენლობით:

| | | |
|---|---|---|
| (i) მგფ წარმომადგენელი | : | კრების მოწვევაზე პასუხისმგებელი პირი |
| (ii) ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი | : | წევრი მდივანი |
| (iii) გამგებელი – დაინტერესებული გამგეობა (სოფლის დონეზე) | : | წევრი |
| (iv) ზმქ პირების წარმომადგენელი | : | წევრი |
| (v) ზმქ ქალების წარმომადგენელი | : | წევრი |
| (ვი) გარემოს დაცვის სპეციალისტი და ზედამხედველი კონსულტანტები | : | წევრი |

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი საჩივრებს განიხილავს ორ ეტაპად.

პირველ ეტაპზე საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი საჩივარს განიხილავს არაოფიციალურად და მიიღებს ყველა შესაძლო ზომას დავის მოლაპარაკების გზით გადასაჭრელად.

თუ საჩივრის გადაჭრა არ ხერხდება კომიტეტის გადაწყვეტილებებით, კომიტეტს შეუძლია, გამოიყენოს საჩივრების გადაჭრის პროცესის მეორე ეტაპზე გათვალისწინებული პროცედურები.

თუ საჩივრის წარმომდგენი ზმქ პირი არ არის კმაყოფილი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას შეუძლია, საჩივარი წარადგინოს მგფ ან სახელმწიფო დონეზე. მგფ განიხილავს საჩივარს საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად.

თუ პირს არც მგფ-ს გადაწყვეტილება აკმაყოფილებს, მას შეუძლია საქმე შეიტანოს შესაბამის სასამართლოში (რეგიონულ სასამართლოში).

ზემოთ აღწერილი მექანიზმი არ უზღუდავს პრეტენზიის მქონე პირის უფლებას, საჩივრით პირდაპირ სასამართლოს მიმართოს.

## 10.2. საჩივრის დაკმაყოფილების პროცესი

ეტაპი 1 - საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი მდივანი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მუდამ იქნებიან ზმქ პირებისთვის ხელმისაწვდომი მათი პრეტენზიებისა და საჩივრების დასაკმაყოფილებლად. ზმქ პირებს აცნობებენ იმ საკონტაქტო პირების მონაცემებს, რომლებსაც უნდა წარუდგინონ საჩივრები. კონტრაქტორს, რწმუნებულსა და საკრებულოს მიეცემათ გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მათთან ზმქ პირებისგან შემოსული ყველა საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს მგფ-ს შესაბამის საკონტაქტო პირებს (კოორდინატორსა და მდივანს), რომლებიც შემდეგ ჩაატარებენ შეხვედრას და საჩივარს არაოფიციალურ გარემოში განიხილავენ საჩივრის ავტორთან ერთად. თუ ზმქ პირის დაკმაყოფილება ამ პროცედურით ვერ მოხერხდა, საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომიტეტი დაეხმარება მას ოფიციალური საჩივრის წარდგენაში შესაბამის ორგანოში (მაგ., მგფ-ში). მგფ-ს შტაბ-ბინის გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს მასთან შემოსული და მსოფლიო ბანკის მიერ გადასახედი საჩივრების დოკუმენტურად აღრიცხვას რეგულარული ზედამხედველობის ჩატარების გზით.

ცხრილი 2. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების პროცესი

| **საფეხური** | მოქმედების დონე | პროცესი |
|---|---|---|
| საფეხური 1 | მოლაპარაკება პზქმპ-სთან | საჩივრის არაფორმალური განხილვა ხდება ადგილობრივად, საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის ფარგლებში. კომისია ღებულობს ყველა ზომას, რათა საკითხი გადაწყდეს მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე. |
| საფეხური 2 | საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების კომისიის გადაწყვეტილება | თუ საჩივრის დაკმაყოფილება მოლაპარაკების დონეზე არ ხერხდება, კომისია დაეხმარება საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირს ოფიციალურად წარადგინოს საჩივარი საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიაში. საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა საჩივარი საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიაში უნდა წარადგინონ სოფლის დონეზე მოლაპარაკების დასრულებიდან 1 კვირის ვადაში. ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ |

| საფეხური | მოქმედების დონე | პროცესი |
|---|---|---|
| | | მოქცეულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებს მის პრეტენზიას. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის წევრი მდივანი შეისწავლის საჩივრებს და მოამზადებს შესაბამის დოკუმენტს საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიისთვის წარსადგენად. საქმის ოფიციალური მოსმენა საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის მიერ დაინიშნება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის მდივნის მიერ მითითებულ დღეს კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრთან და საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირთან შეთანხმებით. მოსმენის დღეს საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი გამოცხადდება გამგეობაში და საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიას წარმოუდგენს მამტკიცებელ მასალას, რომელიც ამყარებს მის პრეტენზიას. წევრი მდივანი ჩაიწერს მოსმენაზე გამოთქმულ განცხადებებს საჩივრის შესახებ და დოკუმენტურად ჩაინიშნავს ყველა მამტკიცებელ ფაქტს. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირველ ეტაპზე საჩივრის განხილვისას არის საბოლოო. მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირს და მასზე ხელს აწერენ საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის სხვა წევრებიც. მოხდება საქმის მასალების განახლება, ხოლო გადაწყვეტილება გადაეცემა მოსარჩელე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს. |
| საფეხური 3 | მგფ კომისიის გადაწყვეტილება | თუ საჩივრის მქონე ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შემდეგი საფეხურია საჩივრის წარდგენა მუნიციპალური განვითარების ფონდს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსათვის., ამ შემთხვევაში, საჩივრის განხილვა მოხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული |

| საფეხური | მოქმედების დონე | პროცესი |
|---|---|---|
| | | კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების კომისია დაეხმარება მას გასაჩივრების მეორე ეტაპით გათვალისწინებული ოფიციალური პროცედურების კვალიფიციურად წარმართვაში (მომჩივან პირს უნდა განემარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესები და პროცედურები, საჩივრის შედგენის ფორმა, მისი წარდგენის ვადები და ა.შ.). კომისიის გადაწყვეტილება გადაეცემა მომჩივან მხარეს |
| საფეხური 4 | სასამართლოს გადაწყვეტილება | თუ საჩივრის მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი არ კმაყოფილდება ადმინისტრაციული ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილებით, მას შეუძლია საქმე აღძრას შესაბამისი იურისდიქციის სასამართლოში რაიონულ დონეზე (რაიონის სასამართლოში). მომჩივანი პირის მიერ სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნას სარჩელი არამხოლოდ კომპენსაციის ოდენობაზე უთანხმოებისას, არამედ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის მშენებელი ორგანიზაციის მიერ დაზარალებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შეუთანხმებლად დაკავება, ქონების დაზიანება, ქონებით სარგებლობის შეზღუდვა და ა,შ. |

## 11. ანგარიშგება

ქვეპროექტების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დოკუმენტირება სავალდებულოა. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშებისთვის შემუშავებულია მონიტორინგის საკონტოლო სიები ***(დანართი 5)***, სადაც ასახულია თითოეული შემამსუბუქებელი ზომის ხარისხი და მოცულობა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებული იქნება ადგილზე გადაღებული ფოტო მასალებით.

კვარტალური შუალედური ანგარიშების გარემოსდაცვითი ნაწილი, რომელიც გაზიარებულია მსოფლიო ბანკთან, უნდა გადმოსცემდეს უფრო საფუძვლიან, ანალიტიკურ ინფორმაციას რგპ-ის გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულების შესახებ, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმიდან გადახვევების/დარღვევების მიმოხილვას ანგარიშების პერიოდში, ინსტრუქციებს, რომელიც კონტრაქტორებს მიეცათ ნებისმიერი სისუსტის ან განსაზღვრული საკითხებისა და გამოვლენილი შემთხვევების შემდგომი ღონისძიებების მიმართ.

პროექტის მიმდინარეობის ამსახველი კვარტალური ანგარიშების სოციალურ თავებში შევა მოკლე დასაბუთება იმისა, თუ პროექტებისთვის რატომ გახდა/არ გახდა საჭირო განსახლების ჩარჩო პოლიტიკის გამოყენება და აღიწერება სხვადასხვა სოციალური უსაფრთხოების დებულებების გამოყენება. ასევე, მოცემული იქნება კონსულტაციების შეჯამება, პროექტის ზმქ პირების კომპენსაცია, შემოსავლის წყაროების აღდგენის ღონისძიებები და სირთულეები განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებისას. ასევე, მიეთითება იმ პროექტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც სავარაუდოდ, საჭირო იქნება განსახლების ჩარჩო პოლიტიკის გამოყენება მომდევნო კვარტალში.

პროექტის მიმდინარეობის ამსახველი კვარტალური ანგარიშების სოციალურ თავებში შევა მოკლე დასაბუთება იმისა, თუ პროექტებისთვის რატომ გახდა/არ გახდა საჭირო განსახლების ჩარჩო პოლიტიკის გამოყენება და აღიწერება სხვადასხვა სოციალური უსაფრთხოების დებულებების გამოყენება. ასევე, მოცემული იქნება კონსულტაციების შეჯამება, პროექტის ზმქ პირების კომპენსაცია, შემოსავლის წყაროების აღდგენის ღონისძიებები და სირთულეები განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელებისას. ასევე, მიეთითება იმ პროექტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც სავარაუდოდ, საჭირო იქნება განსახლების ჩარჩო პოლიტიკის გამოყენება მომდევნო კვარტალში.

სავალდებულოა დაუყოვნებლივ შეტყობინება მსოფლიო ბანკისთვის ანგარიშების ვადების წარდგენის გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი შემთხვევის, საგანგებო სიტუაციების ან გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესახებ, რომელიც შეიძლება მოხდეს სამუშაოების პერიოდში და პირდაპირ და ირიბად ახდენდეს გავლენას გარემოზე, ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე, სამუშაოების უზრუნველმყოფ პერსონალზე ან/და პროექტის ობიექტების სიახლოვეს მყოფ მოსახლეობაზე.

**დანართი 1**

## ქვეპროექტების (ქვეკომპონენტი 1.1) გარემოზე ზეგავლენის შეფასების სკრინინგისა და კლასიფიკაციის კითხვარი

### ა. ზემოქმედების იდენტიფიკაცია

| | |
|---|---|
| აქვს თუ არა პროექტს საგრძნობი გავლენა გარემოზე? | |
| რაში მდგომარეობს პროექტის მნიშვნელოვანად სასარგებლო და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე? | |
| აქვს თუ არა პროექტს რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური ზეგავლენა ადგილობრივ ან ზეგავლენის არეალში მყოფ საზოგადოების ჯგუფებზე? | |

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

| | |
|---|---|
| რა ალტერნატივებია განხილული პროექტის განხორციელების გეგმაში და რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული? | |
| წინა ანალოგიური პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილება იქნა გათვალისწინებული პროექტის განხორციელების გეგმაში? | |
| მონაწილეობდნენ თუ არა პროექტის მომზადებაში დაინტერესებული საზოგადოების ჯგუფები და ადეკვატურად იქნა თუ არა გათვალისწინებული მათი ინტერესები და გამოცდილება? | |

(დ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგებზე დაყრდნობით,

1. ქვეპროექტი უარყოფილია ☐
2. ქვეპროექტი მიღებულია ☐

თუ მიღებულია, რისკების შეფასებაზე დაყრდნობით, ქვეპროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას ☐
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ჩათვლით. ☐

დანართი 2

## ქვეპროექტების სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

| ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1 | ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე) | | |
| 2 | შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორიცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან? | | |
| 3 | პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის? | | |
| 4 | მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორიცაა ბეღლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა? | | |
| თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად** | | | |
| **ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ** | | **დიახ** | **არა** |
| 5 | საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს? | | |
| თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის "დიახ", მაშინ გამოყენებული უნდა იქნას **OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები** და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP–სა და **გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი** შესაბამისი პროცედურების შესაბამისად. | | | |

დანართი 3

## სახელმწიფო-კერძო ინფრასტრუქტურებში ინვესტიციების უფლებამოსილების შეფასება

| ინდიკატორი | მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედება | მცირე პოტენციური ზემოქმედება |
|---|---|---|
| კერძო ბიზნესის სახეობა | სამრეწველო ობიექტი, ენერგეტიკა, ბუნებრივი რესურსების მოპოვება | სტუმარმასპინძლობა და ტურისტების მომსახურეობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ხელოვნება და ხელობა |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| მიწის ჩამორთმევის აუცილებლობა | მიწას, რომელიც საჭიროა კერძო ინვესტირებისთვის, ფლობს და/ან მისით ოფიციალურად ან არაოფიციალურად სარგებლობს მხარე, რომელიც არ წარმოადგენს ინვესტორს. | ინვესტორის გარდა არც ერთი სხვა მხარე არ ფლობს და/ან ოფიციალურად და არაოფიციალურად არ სარგებლობს მიწით, რომელიც საჭიროა კერძო ინვესტირებისთვის |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| მდებარეობა მითითებული ტერიტორიის სიახლოვეს ან უშუალოდ მასზე: | ოფიციალური დაცული ტერიტორიები და მათი დამაკავშირებელი ველური ბუნების დერეფნები, ტყეები, ჭაობები, ცხოველების ბუდობის/გამრავლების არეალები, გადამფრენი ფრინველების შესვენების/შეჩერების ადგილები, ციცაბო ფერდობები, ალპური და სუბალპური ზონა, მწვანე ველები. | ურბანული და სოფლის ლანდშაფტები, რომლებიც ტრანსფორმირებულია წარსულში ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად, სამრეწველო უბნები, მიტოვებული სამრეწველო შენობები. |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| შემდეგით სარგებლობა ან მისი პოტენციური დაბინძურება: | დიდი მდინარეები და მდინარეთა ჭალები, ტრანსსასაზღვრო წყალსატევები და მათი შენაკადები, ტბები, შედარებით მცირე ზომის წყალსატევები, რომლებიც ადგილობრივი თემებისთვის მაღალი ღირებულებისაა ან მაღალი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. | მცირე მდინარეები და ნაკადულები, ხელოვნური წყალსაცავები და გუბეები, რომლებიც ადგილობრივი თემებისთვის ნაკლები ღირებულებისაა და/ან დაბალი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| გრუნტის წყლების რესურსები საინვესტიციო უბანზე: | მინერალური და/ან თერმული წყლების საბადოები; გრუნტის წყლის მაღალი დონე. | მინერალური და/ან თერმული წყლების საბადოები ცნობილი არ არის; გრუნტის წყლის ჩვეულებრივი დონე. |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| მდებარეობს შემდეგ ტერიტორიაზე: | განსაკუთრებული ესთეტიკური ღირებულების ლანდშაფტები, მწვანე ველები, რეკრეაციული ზონები. | ურბანული და სოფლის ლანდშაფტები, რომლებიც ტრანსფორმირებულია წარსულში ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად, სამრეწველო უბნები, მიტოვებული სამრეწველო შენობები. |

| | | |
|---|---|---|
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| ბუნებრივი კატასტროფებისა და გეოლოგიური საშიშროების რისკი | უბანზე/უბნის მახლობლად განმეორებადი ხასიათის ძლიერი ეროზია, მეწყერები, ზვავები, დატბორვა. | უბანზე/უბნის მახლობლად მონაცემები განმეორებადი ბუნებრივი კატასტროფების და გეოლოგიური საფრთხეების შესახებ არ არსებობს. |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |
| ინვესტირების უბანზე განთავსებულია: | ისტორიული/კულტურული ძეგლები; თემების მიერ ტრადიციული მიზნებით გამოყენებადი უბნები (რელიგიური, სასაფლაო, რიტუალური) | კულტურული რესურსები არ ფიქსირდება. |
| | მონიშნეთ ორიდან ერთ-ერთი გრაფა | |
| | | |

დანართი 4

## გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის საკონტროლო სიის გამოყენების ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:

დაბალრისკიანი ტოპოლოგიებისათვის, როგორიცაა სკოლისა და საავადმყოფოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ECA -ს უსაფრთხოების გუნდმა შეიმუშავა ამჟამინდელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის ფორმატის ალტერნატივა, რათა ჯანდაცვის, განათლების და კომუნალური მომსახურების სექტორებში მცირემასშტაბიანი სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის მომზადების უფრო რაციონალური მიდგომისათვის გაეხსნა გზა. საკონტროლო სიის ტიპის ფორმატი შემუშავებულ იქნა ''მოწინავე გამოცდილების ნიმუშის'' უზრუნველსაყოფად, იგი მომხმარებელზე ორიენტირებული და უსაფრთხოების მოთხოვნების შესატყვისია.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის საკონტროლო სიის ტიპის ფორმატი მიზნად ისახავს მოიცვას ძირითადი ტიპიური შემამსუბუქებელი მიდგომები იმ სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებისათვის, რომლებსაც მცირე, ადგილობრივი ზეგავლენა აქვს გარემოზე. მიღებულია, რომ ამ ფორმატში მოცემული იყოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმის (EMP) ან გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტის (EMF) ძირითადი ელემენტები, რათა დაცული იქნას მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნებთან შესატყვისობა OP 4.01 ფარგლებში. წინამდებარე საკონტროლო სიის დანიშნულებას წარმოადგენს, რომ იგი გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ მცირე სამუშაოების კონტრაქტებისათვის და შეადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი ბანკის დაფინანსებული მცირე სამშენებლო პროექტების განმახორციელებელი კონტრაქტორებისათვის.

საკონტროლო სია სამი განყოფილებისაგან შედგება:

ნაწილი 1 შეიცავს აღწერით ნაწილს, რომელიც ახასიათებს პროექტს და დეტალურად განსაზღვრავს ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ასპექტებს, ტექნიკური პროექტის არსს, უნარ-ჩვევების გამომუშავების პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესის აღწერას. ეს განყოფილება ორ გვერდამდე მოცულობის უნდა იყოს. დამატებითი ინფორმაციის შემცველი დანართები საჭიროებისამებრ იქნება თანდართული.

ნაწილი 2 შეიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის საკონტროლო სიას, სადაც საქმიანობები და პოტენციური გარემოსდაცვითი საკითხები მოინიშნება მარტივ დიახ/არა ფორმატში. თუკი ''დიახ'' პასუხის გაცემისას მოქმედებაში მოდის რომელიმე მოცემული საქმიანობა/საკითხი, მითითებულია შემდეგი ცხრილის სათანადო განყოფილება, რომელიც შეიცავს ნათლად ფორმულირებულ მართვისა და შემამსუბუქებელ ზომებს.

ნაწილი 3 წარმოადგენს მონიტორინგის გეგმას პროექტის მშენებლობისა და განხორციელების პერიოდის საქმიანობებისათვის. იგი ინარჩუნებს იგივე ფორმატს, რაც B კატეგორიის პროექტებისათვის ბანკის მიერ არის მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ღონსიძიებების გეგმისათვის. ამ საკონტროლო სიის მიზანს წარმოადგენს, რომ ნაწილები 2 და 3 შევიდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში კონტრაქტორებისათვის, სატენდერო ფასების მითითებით და გულმოდგინე ზედამხედველობით სამუშაოების განხორციელების განმავლობაში.

სარჩევი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და ობიექტის შესახებ

ბ) ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ

გ) შემამსუბუქებელი ზომები

დ) მონიტორინგის გეგმა

## ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

| | | | |
|---|---|---|---|
| **ინსტიტუციონალიური & ადმინისტრაციული** | | | |
| ქვეყანა | | | |
| პროექტის დასახელება | | | |
| ადგილის სპეციფიური აქტივობების მასშტაბი | | | |
| ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი) | ჯგუფის ხელმძღვანელი: (ჩაწერეთ) | უსაფრთხოების სპეციალისტი: (ჩაწერეთ) | |
| განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი) | განმახორციელებელი ერთეული: (ჩაწერეთ) | სამუშაოების ზედამხედველი: (განისაზღვრება) | სამუშაოების კონტრაქტორი: (განისაზღვრება) |
| **ადგილის აღწერა** | | | |
| იმ ინსტიტუტის დასახელება, რომლის კუთვნილების რეაბილიტაციის განხორციელებაც არის დაგეგმილი | | | |
| იმ ინსტიტუტის მისამართი და მდებარეობა, რომლის კუთვნილების რეაბილიტაციის განხორციელებაც არის დაგეგმილი | | | |
| ვინ ფლობს მიწას? ვინ იყენებს მიწას? (ოფიციალურად/არაოფიციალურად)? | | | |
| ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი | | | |
| მასალების, განსაკუთრებით აგრეგატების, წყლის, ქვიშა-ხრეშის მოწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება | | | |
| **კანონმდებლობა** | | | |
| ეროვნული & ადგილობრივი კანონმდებლობა & პროექტის შესაბამისი ნებართვები | | | |
| **საჯარო კონსულტაცია** | | | |
| როდის/სად განხორციელდება/ განხორციელდა საჯარო კონსულტაციების პროცესი | | | |
| **დანართი** | | | |
| დანართი 1: ტერიტორიის გეგმა/ ფოტო<br>დანართი 2: მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში)<br>დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე<br>სხვა ნებართვები/ ხელშეკრულებები - საჭიროების შესაბამისად | | | |

**ნაწილი ბ: ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ**

| გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი | | | |
|---|---|---|---|
| | **საქმიანობა/საკითხი** | **სტატუსი** | **მოქმედებაში მოყვანილი საქმიანობა** |
| შეიცავს/გულისხმობს თუ არა ობიექტზე საქმიანობა შემდეგი საქმიანობებიდან რომელიმეს? | ა. შენობის რეაბილიტაცია | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი ა განყოფილება |
| | ბ. ახალი მშენებლობა | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი ა განყოფილება |
| | გ. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **ბ** განყოფილება |
| | დ. ისტორიული შენობები და უბნები | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **გ** განყოფილება |
| | ე. მიწის შესყიდვა[1] | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **დ** განყოფილება |
| | ვ. სახიფათო და ტოქსიკური მასალები[2] | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **ე** განყოფილება |
| | ზ. ზემოქმედება ტყეებზე და დაცულ ტერიტორიებზე | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **ვ** განყოფილება |
| | თ. სანიტარული ნარჩენების გატანა/განკარგვა | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **ზ** განყოფილება |
| | ი. ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება | [ ] დიახ [ ] არა | იხ ქვემოთმოყვანილი **თ** განყოფილება |

[1] მიწის შესყიდვა გულისხმობს ხალხის გადაადგილებას, საარსებო წყაროს ცვლილებას, კერძო საკუთრებაში შეჭრას, მიწის შესყიდვას/გადაცემას, და ეხება ადამიანებს რომლებიც ცხოვრობენ და/ან არარეგისტრირებულ მობინადრეებს და/ან ბიზნესის მეპატრონეებს (კიოსკები) იმ მიწაზე, რომელიც შესყიდული უნდა იქნას. .

[2] ტოქსიკური / სახიფათო მასალები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება: აზბესტით, ტოქსიკური საღებავებით, მომწამლავი გამხსნელებით, ტყვიის საღებავით.

## ნაწილი გ: შემამსუბუქებელი ზომები

| საქმიანობა | პარამეტრები | შემამსუბუქებელი ზომების საკონტროლო სია |
|---|---|---|
| 0. ზოგადი პირობები | შეტყობინება და მუშახელის უსაფრთხოება | (ა) ადგილობრივი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ინსპექტორატი და თემი შეტყობინებულ იქნა მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ.<br>(ბ) საზოგადოება შეტყობინებულ იქნა სამუშაოების შესახებ შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით, მას მედიით და/ან საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ობიექტებზე (სამშენებლო ობიექტის ჩათვლით)<br>(ც) ყველა იურიდულად საჭირო ნებართვა მოპოვებულ იქნა მშენებლობისა და/ან რეაბილიტაციისათვის<br>(დ) კონტრაქტორმა ოფიციალური თანხმობა განაცხადა, რომ ყველა სამუშაო განხორციელდება უსაფრთხოდ და დისციპლინირებულად, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ზემოქმედებას მეზობლად მობინადრეებზე და გარემოზე. .<br>(ე) მუშახელის პირადი დამცავი საშუალებები შესატყვისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან (ყოველთვის დამცავი ჩაფხუტები, საჭიროებისამებრ ნიღბები და დამცავი სათვალეები, უსაფრთხოების ღვედები და უსაფრთხო ჩექმები)<br>(ფ) ობიექტებზე სათანადო ნიშნების დაყენება შეატყობინებს მუშახელს ძირითად წესებსა და ნორმებს, რომლებთან შესატყვისობაც სავალდებულოა. |
| ა. ზოგადი სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობები | ჰაერის ხარისხი | (ა) ინტერიერის ნგრევისას ნაგვის ჩამოსაყრელი ხის არხები იქნება გამოყენებული პირველი სართულის ზევით<br>(ბ) ნანგრევი ნარჩენები გაკონტროლებულ ზონაში შეინახება, სადაც წყლით მოირწყვება მტვრის თავიდან ასაცილებლად<br>(ც) პნევმატური ბურღვის/კედლის ნგრევის დროს წარმოქმნილი ნანგრევების მტვერი აღმოიფხვრება წყლით პერმანენტულად მორწყვისა და/ან ობიექტზე მტვერსაწინააღმდეგო ეკრანების დაყენების მეშვეობით.<br>(დ) მიმდებარე გარემო (ტროტუარები, გზები) სამშენებლო ნაგვისაგან გაიცლება მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად<br>(ე) ობიექტზე არ მოხდება სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა<br>(ფ) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას |
| | ხმაური | (ა) სამშენებლო ხმაური ნებართვაში განსაზღვრულ შეზღუდულ საათებში იქნება ნებადართული<br>(ბ) ექსპლოტაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები, და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, და აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნებიდან შეძლებისდაგვარად შორს განთავსდება. |
| | წყლის ხარისხი | (ა) ობიექტზე გატარებული იქნება ეროზიისა და ნატანის კონტროლის სათანადო ზომები, როგორიცაა მაგალითად თივის ზვინულები და/ან ნალექის შემაკავებელი ღობეები, რათა მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა |
| | მყარი ნარჩენების განკარგვა | (ა) ნგრევისა და მშენებლობისაგან მიღებული ნარჩენების ყველა ტიპისათვის განსაზღვრული იქნება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მარშრუტები და ობიექტები.<br>(ბ) ნგრევისა და მშენებლობის მინერალური ნარჩენები გამოცალკევდება სხვა საერთო ნაგვისაგან, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისაგან, იგი ობიექტზე გადაირჩევა და შეინახება სათანადო კონტეინერებში.<br>(ც) სამშენებლო ნაგავი სათანადოდ შეგროვდება და გადაიყრება ლიცენზირებული შემგროვებლების მიერ.<br>(დ) ნარჩენების გატანის აღრიცხვა იწარმოებს, როგორც ნაგვის სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება.<br>(e) საჭიროებისამებრ კონტრაქტორი განმეორებით გამოიყენებს სათანადო სიცოცხლისუნარიან მასალებს (აზბესტის გარდა). |
| ბ. ინდივიდუალური წყალგამწმენდი სისტემა | წყლის ხარისხი | (ა) სამშენებლო ობიექტების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ჩამდინარი წყლების განკარგვის მექანიზმი დამტკიცებული უნდა იყოს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.<br>(ბ) წყალმიმღებში ჩადინებამდე, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემიდან ჩამდინარი წყლები უნდა გაიწმინდოს, რათა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ჩამდინარი წყლების ხარისხისა და საკანალიზაციო წყლების გაწმენდის ხარისხის მინიმალური კრიტერიუმები.<br>(c) განხორციელდება ახალი საკანალიზაციო სისტემების მონიტორინგი (პროექტამდე/პროექტის შემდგომ).<br>(დ) სამშენებლო მანქანები და მექანიზმები გაირეცხება მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას, სადაც ნაჟონი არ |

| | | |
|---|---|---|
| | | დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს. |
| გ. ისტორიული ნაგებობები | კულტურული მემკვიდრეობა | (a) თუკი შენობა ისტორიული ძეგლია, ახლოს იმყოფება ამგვარ ძეგლთან ან ისტორიულ უბანში მდებარეობს, განხორციელდება შეტყობინება, მოპოვებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობა/ნებართვა და ყველა სამშენებლო სამუშაო დაიგეგმება და განხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური კანონმდებლობის შესაბამისად.<br>(b) უზრუნველყოფილი იქნება სტრუქტურა, იმისათვის, რომ არტეფაქტები ან სხვა შესაძლო "შემთხვევითი აღმოჩენები", რომლებსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მიწის სამუშაოების ან მშენებლობის დროს შენიშნული და რეგისტრირებული იქნას, მოხდეს დაკავშირება სათანადო ორგანოებთან, ხოლო სამუშაოები გადადებული ან შეცვლილი იქნას ამგვარი აღმოჩენების მიზეზით. |
| **საქმიანობა** | **პარამეტრები** | **შემამსუბუქებელი ზომების საკონტროლო სია** |
| დ. მიწის შესყიდვა | მიწის შესყიდვის გეგმა /ჩარჩო დოკუმენტი | (a) თუ მიწის ექსპროპრიაცია არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ საჭირო გახდა ან თუკი მიწის ლეგალური და არალეგალური მფლობელების მიერ შემოსავლის დაკარგვა არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, მაშინ მყისვე უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ბანკის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელთან.<br>(b) უნდა განხორციელდეს დამტკიცებული (თუკი პროექტი ამას მოითხოვს) მიწის შესყიდვის გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი. |
| ე. ტოქსიკური მასალები | აზბესტის განკარგვა | (a) თუკი აზბესტი განთავსებულია ობიექტზე, მასზე ნათლად უნდა იქნას მითითებული, რომ იგი სახიფათო მასალაა.<br>(b) შეძლებისდაგვარად, აზბესტი სათნადოდ უნდა იქნას შენახული და იზოლირებული რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი ზემოქმედება.<br>(c) აზბესტი გატანამდე (თუკი გატანა საჭირო გახდება) სათანადოდ უნდა დატენიანდეს აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად<br>(d) აზბესტის გატანა და გადაყრა უნდა განახორციელოს უნარიანმა და გამოცდილმა პროფესიონალმა.<br>(e) თუკი აზბესტის მასალა დროებით არის დასაწყობებული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული ჩაკეტილ მოცულობებში და სათანადოდ იქნას ნიშანდებული. გატარებული უნდა იქნას უსაფრთხოების ზომები ობიექტიდან არასანქცირებული გატანის წინააღმდეგ.<br>(f) აზბესტის განმეორებითი გამოყენება დაუშვებელია. |
| | ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების განკარგვა | (a) ობიექტზე ყველა სახიფათო და ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც შესაბამის ეტიკეტზე მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და შენახვის შესახებ<br>(b) სახიფათო მასალების ჭურჭლები უნდა მოთავსდეს ჰერმეტულ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოჟონვა<br>(c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და გატანილ იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე.<br>(d) არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტებისა ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავები. |
| ვ. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყეები, ჭაობები და/ან დაცული ტერიტორიები | დაცვა | (a) ობიექტის სიახლოვეში მყოფი ყველა აღიარებული ეკოსისტემა, დაჭაობებული ადგილი და დაცული ტერიტორია არ უნდა იქნას დაზიანებული ან გამოყენებული, პერსონალს მკაცრად ექნება აკრძალული ნადირობა, საკვების მოპოვება, ტყის მოჭრა და სხვა გარემოს დამაზიანებელი საქმიანობა<br>(b) ჩატარდება ობიექტის სიახლოვეში მყოფი დიდი ზომის ხეების კვლევა და ინვენტარიზაცია, დიდი ხეები მოინიშნება და შემოიღობება, დაცული იქნება მათი ფესვთა სისტემა, აცილებული იქნება ნებისმიერი სახით მათი დაზიანება. |

| | | |
|---|---|---|
| | | (ც) მიმდებარე ჭაობები და ნაკადულები დაცული უნდა იყოს სამშენებლო ობიექტიდან ნაყონისაგან ეროზიისა და ნალექის კონტროლის სათანდო მოწყობილობით, როგორიცაა მაგალითად თივის ზვინულები და და/ან ნალექის შემაკავებელი ღობეები.<br>(d) მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებზე არ უნდა იყოს არალიცენზირებული კარიერი, სამტეხლო ან ნაგავსაყრელი. |
| **ზ**. სანიტარული ნარჩენების განკარგვა | ინფრასტრუქტურა სანიტარული ნარჩენების განკარგვისათვის | (a) აჟჳეროვნული ნორმების თანახმად, კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ ახლად აშენებული და/ან რეაბილიტირებული ჯანდაცვის დაწესებულებები აღჭურვილი იყოს სანიტარული ნარჩენების განკარგვის ინფრასტრუქტურით; რაც მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგით:<br>▪ სპეციალური საშუალებები სხვა ნარჩენებისაგან განცალკევებული სამედიცინო ნარჩენებისათვის (რაშიც შედის დაბინძურებული ინსტრუმენტები "ბასრი და წვეტიანი ინსტრუმენტები", ოპერირების მერე ქსოვილები და სითხეები); და<br>▪ უნდა არსებობდეს სათანადო შენახვის საშუალებები სამედიცინო ნარჩენებისათვის; და<br>▪ თუ საქმიანობა მოიცავს საშუალებებით მკურნალობას, უნდა ადგილზე იყოს და ფუნქციონირებდეს გადაყრის სათანადო ვარიანტები; |
| **თ**. ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება | პირდაპირი ან არაპირდაპირი საფრთხე საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეებისათვის სამშენებლო საქმიანობის გამო | a. ეროვნული ნორმების თანახმად, კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ობიექტი სათანადოდ იყოს დაცული, ხოლო სამშენებლო ტრანსპორტი რეგულირებული. რაშიც შედის, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგით:<br>i. საჩვენებელი ნიშნები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის შემოვლითი ნიშნები: ობიექტი ნათლად უნდა ჩანდეს და მოსახლეობა გაფრთხილებული იყოს ყველა პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით<br>ii. ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების სისტემა და პერსონალის ტრეინინგი, კერძოდ კი ობიექტის შესასვლელში და ობიექტის სიახლოვეს ინტენსიურად მოძრავი ტრანსპორტისათვის. უსაფრთხო გასასვლელების და გადასასვლელების უზრუნველყოფა ფეხით მოსიარულეთათვის, სადაც მათი გზები სამშენებლო ტრანსპორტთან იკვეთება.<br>iii. სამუშაო საათების მისადაგება ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის მოდელთან, მაგ. ძირითადი საქმიანობის საათები არ უნდა დაემთხვეს პიკის საათს ან ნახირის მოძრაობის პერიოდს.<br>iv. ტრანსპორტის მოძრაობის აქტიური რეგულირება ობიექტზე გაწვრთნილი და მხედველობის არეში მყოფი პერსონალის მიერ, თუკი ეს საჭირო იქნება მოსახლეობის უსაფრთხო და ხელსაყრელი გადაადგილებისათვის.<br>v. უსაფრთხო და მუდმივი მისასვლელების უზრუნველყოფა ოფისების, მაღაზიებისა და საცხოვრებელი სახლებისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების განმავლობაში, თუკი ეს შენობები ღიაა საზოგადოებისათვის. |

## ნაწილი **D:** მონიტორინგის გეგმა

| საქმიანობა | **რომელი** (არის ის პარამეტრი რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?) | **სად** (არის ის პარამეტრი რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?) | **როგორ** (უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი?) | **როდის** (განსაზღვრეთ სიხშირე / თუ უწყვეტად?) | **რატომ** (ხორციელდება პარამეტრის მონიტორინგი?) | **ვინ** (არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე ?) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მშენებლობის ფაზა** | | | | | | |
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| n | | | | | | |
| **ოპერირების ფაზა** | | | | | | |
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| n | | | | | | |

დანართი 5

**ადგილზე გარემოს დაცვითი ყოველთვიური მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მდებარეობა | | | | | |
| კონტრაქტორის დასახელება | | | | | |
| ზედამხედველის სახელი, გვარი | | | | | |
| ადგილზე ვიზიტის თარიღი | | | | | |
| სამოქალაქო სამუშაოების სტატუსი | | | | | |
| შესამოწმებელი დოკუმენტაცია და აქტივობები | სტატუსი | | | | კომენტარი |
| კონტრაქტორს გააჩნია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ნებართვა | დიახ | ნაწილობრივ | არა | არ ეხება | |
| კონტრაქტორს გააჩნია ნებართვა ბეტონის/ ასფალტის ქარხნის ოპერირებაზე | | | | | |
| კონტრაქტორს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ნარჩენების საბოლოო განადგურებაზე | | | | | |
| კონტრაქტორს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მომსახურების მომწოდებელთან ტერიტორიიდან ყოველდღიური ნარჩენების გატანაზე | | | | | |
| სამუშაო ტერიტორია შემოღობილია და გამაფრთხილებელი ნიშნები დამონტაჟებულია | | | | | |
| სამუშაოები ხელს არ უშლის ფეხით მოსიარულეებსა და ავტო ტრანსპორტს გადაადგილებაში, ან უზრუნველყოფილია ალტერნატიული მარშრუტი | | | | | |
| ხდება სამუშაო საათების დაცვა | | | | | |
| სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები სტანდარტულ ტექნიკურ მდგომარეობაშია (არ აწარმოებს ჭარბ გამონაბოლქვს, არ ხდება საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვა) | | | | | |
| სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება გადახურული ტრანსპორტით | | | | | |
| ხდება სამშენებლო ტერიტორიის მორწყვა დიდი მოცულობის მტვრის გამოყოფის შემთხვევაში | | | | | |
| კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია სპეციალური ადგილები ნარჩენების შესანახად და ტექნიკის/ დანადგარების ტექნიკური მომსახუერბისათვის | | | | | |
| კონტრაქტორის ბანაკს მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანიტარული საშუალებებით | | | | | |
| კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების მოწყობილობებითა და ხანძრის ჩამქრობი საშუალებებით | | | | | |
| მუშებს აცვიათ ფორმები და ატარებენ დამცველ აღჭურვილობას შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისას (ხელთათმანები, ჩაფხუტები, სასუნთქი მოწყობილობები, სათვალეები და ა.შ.) | | | | | |
| ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურება ხორციელდება შეუღწევად, ცალკე გამოყოფილ ადგილებში, სადაც შესაძლებელია დაღვრილი ოპერატიული და საავარიო ნარჩენების კონსერვაცია | | | | | |
| ტრანსპორტისა და ტექნიკის გარეცხვა ხდება ბუნებრივი წყლის ადგილებიდან მოშორებით, ამ გზით ხდება დაბინძურებული წყლის ბუნებრივ წყლებში ჩადინების თავიდან აცილება | | | | | |
| სამშენებლო ნარჩენების გადაყრა ხდება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში | | | | | |
| ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება ხდება ლიცენზიაში მითითებული პირობების მკაცრი დაცვით | | | | | |
| ჭარბი მასალა და ნიადაგის ამოღების შედეგად მიღებული ზედაპირული ნიადაგი ინახება ცალკე და გამოიყენება ორმოების უკან შევსებისას / ტერიტორიის საწყისი მდგომარეობის აღდგენისას - თუ ასეთი საჭიროება არსებობს | | | | | |
| უცაბედი აღმოჩენების დაფიქსირების შემთხვევაში ხდება სამუშაოების შეჩერება, შესაბამისი შეტყობინება ეგზავნება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სააგენტოებს | | | | | |
| ადგილზე ფიზიკური აქტივობების დასრულების შემდეგ, ხდება ტერიტორიის და კონტრაქტორის ბანაკის / სამუშაო ბაზისა და შესრულებული სამუშაობიდან მიღებული ნარჩენების ლიკვიდაცია და ხდება ტერიტორიის ჰარმონიზაცია გარემოსთან | | | | | |

დანართი 6

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვების ოქმები

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიების და სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების მოკლე რეზიუმეს

საჯარო განხილვა

ოქმი
ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობა,
შალვა ახალციხელის ქუჩა 27, ახალციხე
18 თებერვალი, 2015

დღის წესრიგი:

| | | |
|---|---|---|
| 15:00 | შეხვედრის გახსნა | |
| 15:10 | რეგიონული განვითარების მესამე პროექტის მოკლე მიმოხილვა | დავით ტაბიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი, გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი |
| 15:30 | ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების პრეზენტაცია | ანა რუხაძე, გარემოს დაცვის სპეციალისტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი |
| 16:00-17:00 | დისკუსია | |
| 17:00 | სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიებისა და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული | |

| | |
|---|---|
| | შეფასების მოკლე რეზიუმეს პრეზენტაცია |
| 17:00 -17:30 | დისკუსია |
| 17:30 | შეხვედრის დახურვა |

**შეხვედრას ესწრებოდნენ:**

1. ნოდარ ბალახაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
2. ალისა გიმიშიან, World Vision International-ის ფილიალი საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების პროგრამა ბავშვთა კეთილდღეობისათვის;
3. დავით ლომიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
4. ალექსი ლაბაძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
5. თეიმურაზ ბარამიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკის და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე;
6. ბესიკ გიქსაძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოსა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
7. ზვიად ჯანაშვილი, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სამცხე-ჯავახეთის სამსახური;
8. ფრიდონ ტაბატაძე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სამცხე-ჯავახეთის სამსახური;
9. გიორგი დიასამნიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი მინაძის ადმინისტრაციულ ერთეულში;
10. როინი ნებაძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
11. როინი სუდაძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
12. თამაზ ზედგინიძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
13. ემზარი გვირჯიშვილი, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
14. ბექა იაძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
15. გიორგი ნებაძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
16. თეიმურაზ ლომიძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
17. ნიაზ დიასამიძე, ახალციხის რაიონი სოფელ ღრელის მაცხოვრებელი;
18. მარინა გაჩეჩილაძე, გუბერნატორის ადმინისტრაცია;
19. იორდანე ჭაღიაშვილი, გუბერნატორის ადმინისტრაცია;
20. გურამი მედოქიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;
21. მერაბ ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორი;
22. ბესარიონ მიქელაძე, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი;

23. ქეთევან ინასარიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
24. ნოდარი ტალახაძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
25. ვასილი სისკაძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურული განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავჯდომარე;
26. ალექსი ზედგინიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე;
27. გიგა გველესიანი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
28. ანა თავდგირიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
29. ეკატერინე დადიანი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
30. თამარ ქარდავა, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
31. გიორგი კოპაძე, ახალციხის მერია, ქალაქის მერი;
32. ზაზა მელიქიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
33. ანა რუხაძე, გარემოს დაცვის სპეციალისტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
34. დავით ტაბიძე, გარემოს დაცვის და განსახლების სამსახურის უფროსი, მუნიციპალური განვითარების ფონდი.

**აკაკი მაჭუტაძემ (სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში)** გახსნა შეხვედრა და მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს. მან მოკლედ ისაუბრა რეგიონული განვითარების მესამე პროექტის (რგპ III) შესახებ, რომელიც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ასევე აღნიშნა, რომ რეგიონში განსახორციელებელი ქვე-პროექტები შერჩეული იქნა მსოფლიო ბანკთან და მუნიციპალური განვითარების ფონდთან კონსულტაციების საფუძველზე.

**დავით ტაბიძემ (გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი, მუნიციპალური განვითარების ფონდი)** მოკლედ მიმოიხილა რეგიონული განვითარების პროექტი, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურეობის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის უბნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის სავარაუდო ბიუჯეტია 75 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 60 მლნ აშშ დოლარი იქნება მსოფლიო ბანკის სესხი, ხოლო 15 მლნ აშშ დოლარი - საქართველოს მთავრობის წვლილი. დ. ტაბიძემ მოკლედ მიმოიხილა შერჩეული ქვე-პროექტები, რომლებიც განხორციელდება რეგიონული განვითარების ახალი პროექტის ფარგლებში. დ. ტაბიძემ აღნიშნა, რომ შეხვედრის მიზანია რეგიონული განვითარების მესამე პროექტისათვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვა.

**ანა რუხაძე (გარემოს დაცვის სპეციალისტი, მგფ)** წარმოადგინა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიები. მან აღნიშნა, რომ რგპ III განიხილება, როგორც B კატეგორიის პროექტი, და შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ B და C კატეგორიის პროექტები. ა. რუხაძე მიმოიხილა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკები, რომლებიც ეხება რგპ III -ს და

შესაბამისი ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა. შემდეგ მან წარმოადგინა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების განხილვისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ანგარიშები სტრუქტურა, ასევე ისაუბრა გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიაზე მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, როგორც დაბალის რისკის პროექტების გარემოსდაცვითი დაგეგმვის საშუალებაზე. ა. რუხაძე განიხილა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების გასაჯაროვებისა და კონსულტაციების ჩატარების საკითხი, ასევე გარემოსდაცვითი პროცედურები, რომლებიც გამოყენებული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქვე-პროექტების შერჩევის, შეფასების და განხორციელების ფაზებში, ასევე ისაუბრა გარემოსდაცვით მონიტორინგსა და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმზე, რომელის შეიქმნება რგპ III -სათვის. აღნიშნულის შემდგომ ა. რუხაძემ წარმოადგინა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია. მან აღნიშნა, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს რგპ III-ის ფარგლებში განსახლებისა და მიწის შეძენის პრინციპებსა და პროცედურების, ქვეპროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების კატეგორიებსა და მათ უფლებებს, დოკუმენტაციას, რომელიც უნდა მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორცილებამდე, განხორციელების პერიოდში და მის შემდეგ. განიხილა იძულებით განსახლებაზე მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკისა (OP/BP 4.12) და საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები და რგპ III -ის ფარგლებში მათი განხორციელების შეჯერებული პრინციპები, განსახლების სამოქმედო გეგმების საჯარო განხილვების პროცედურები და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ შეხვედრის მონაწილეებმა დასვეს შეკითხვები. ძირითადად შეკითხვები ეხებოდა პროექტების შერჩევისა და დაფინანსების პროცედურებს და პრიორიტეტებს. განსახლების საკითხებთან მიმართებაში დაინტერესება გამოიწვია კომპენსაციისა და ანაზღაურების მექანიზმება.

დასმული შეკითხვები და გამოთქმული კომენტარები:

| შეკითხვები | კომენტარები |
|---|---|
| წარმოდგენილი დოკუმენტები საბოლოოა თუ შესაძლებელია მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა? | კიდევ ერთხელ იქნა განმარტებული, რომ შეხვედრის მიზანია წარმოდგენილი დოკუმენტების სამუშაო ვერსიების განხილვა და მიღებული კომენტარებისა და შენიშვნების ასახვა საბოლოო დოკუმენტში |
| ქვე-პროექტების უმრავლესობა დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ზონების სიახლოვეს, რის გამოც დიდია სამუშაოების განხორციელების დროს არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის შესაძლებლობა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პროექტმა გამოიწვიოს არქეოლოგიური | განმარტებული იქნა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მართვის გეგმით განსაზღვრული ერთ-ერთი ვალდებულებაა არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში სამუშაოების დაუყონებლივი შეწყვეტა. კონტრაქტორმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც თავის |

| | |
|---|---|
| ფასეულობების დაკარგვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო იქნება სამუშაოები საროს დარბაზებთან, თმოგვის ციხე-სიმაგრესთან, თუნდაც საფარას გზის რეაბილიტაცია. | მხრივ შეატყობინებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადგილის სათანადო შესწავლისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ საფარას სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზის შეკეთება უწევთ თითქმის ყოველწლიურად, თუმცა ჯერჯერობით არქეოლოგიური ობიექტების არ გამოვლენილა, თუმცა, ასეთი შემთხვევის წარმოქმნის შემთხვევაში, სრულად იქნება დაცული პროცედურები. |
| ახალციხის ფარგლებში ქალაქის მერიის მიერ ხორციელდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშოები, ასევე მიმდინარეობს კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. აუცილებელია კარგი კოორდინაცია, რომ არ მოხდეს პროექტების ურთიერთგადაფარვა | გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შედგენილია სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები. აღნიშნული რეგიონული სამოქმედო გეგმით ხელმძღვანელობა საშუალებას იძლევა კოორდინირებულად განვახოციელოთ სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ქვე-პროექტები და ავიცდინოთ მათი ურთიერთგადაფარვა. |
| შეხვედრას ვერ ესწრება ეპარქიის მეუფე, თუმცა მან ითხოვა, რომ ჩატარებულიყო კონსულტაციები მონასტრების წინამძღვრებთან და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. მათ გააჩნიათ მოსაზრებები მოქმედ ეკლესიებთან სიახლოვეს ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების განლაგებასთან დაკავშირებით, ამიტომ მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია. | ყველა ქვე-პროექტი წინასწარ იქნება განხილული ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და მათი ინტერესები გათვალისწინებული იქნება პროექტის დიზაინში. |
| რა პრინციპით ხდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ქონების კომპენსაცია? | განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმეტი მომზადებულია მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. კომპენსაციას მიიღებს |

| | |
|---|---|
| | ყველა, ვიზეც უშუალოდ მოხდება ზემოქმედება პროექტის განხორციელებისას. |
| შეუძლია თუ არა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს გასაჩივრება, თუ შეთავაზებული კომპენსაცია მისთვის მისაღები არ არის? | რა თქმა უნდა შეუძლია. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი, როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. საჩივრების განხილვის კომიტეტი შეიქმნება ყველა გამგეობაში. საჩივრები თავდაპირველად განხილული იქნება კომიტეტის მიერ არაფორმალურად და მიღებული იქნბეა ზომები დავის მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის. თუ ამ გზით არ ხერხდება საჩივრის გადაწყვეტა, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს შეუძლია ოფიციალურად მიმართოს მგფ-ს, რომელიც საჩივარს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. თუ კი პირისთვის მიუღებელი იქნება მგფ-ის გადაწყვეტილება, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. |

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტების განხილვის შემდგომ, ა. რუხაძემ წარმოადგინა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიებისა და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების (SECHSA) მოკლე მიმოხილვა. ა. რუხაძემ განმარტა სტრატეგიული შეფასების განხორციელების მიზნები და განიხილა დოკუმენტით გამოვლენილი პრობლემები. განხილული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მეთოდოლოგია და SECHSA-ს სრული ანგარიშის სამუშაო ვერსიის რეგიონის მოსახლეობისათვის გაცნობისა და განხილვის გეგმა. შეხვედრის მონაწილეები ინფორმირებულნი იქნენ, რომ SECHSA-ს ანგარიშის სამუშაო ვერსია მომზადდება ორ შერჩეულ რეგიონში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შემდგომ და გამოქვეყნდება მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. ანგარიშის ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება თბილისში, მუნიციპალური განვითარების ფონდში, ასევე მცხეთასა და ახალციხეში გამგეობის ოფისებში. ჩატარდება საკონსულტაციო შეხვედრები თბილისში, ახალციხესა და მცხეთაში SECHSA-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის გამოქვეყნების შემდგომ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, მათ შორის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობო ორგანოები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მუნიციპალური თვითმმართველობა. საკონსულტაციო შეხვედრებზე მიღებული შენიშვნები და კომენტარები ასახული იქნება SECHSA-ს საბოლოო ანგარიშში, რომელიც ასევე გამოქვეყნდება.

ტერიტორიული ადმინისტრაციებისა და გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება და მხარდაჭერა რგპ III-ის განხორციელების მიმართ და აღნიშნეს, რომ პროექტს ექნება უდიდესი მნიშვნელობა რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის.

შეხვედრის დასასრულს დ. ტაბიძემ შეაჯამა გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტების საბოლოო ვერსიები გამოქვეყნებული იქნება მგფ-ის ვებ-გვერდზე.

ოქმი შეადგინა ანა რუხაძემ.

მონაწილეთ რეგისტრაციის ფურცელი

MDF
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) დოკუმენტების სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვა

ახალციხე, 18 თებერვალი, 2015

მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

| | სახელი, გვარი | ორგანიზაცია | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | [illegible]@gmail.com 591-44 97 05 |
| 2. | [illegible] | World Vision International - [illegible] | [illegible]@wvi.org 598-512 902 |
| 3. | [illegible] | [illegible] | davitlomidze04@gmail.com 595 09 14 00 |
| 4. | [illegible] | [illegible] | alexsi.labidze@mail.ru 595 09 14 16 |
| 5. | [illegible] | [illegible] | 595 09 14 15 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6. | [illegible] | [illegible] | 535091407 |
| 7. | [illegible] | [illegible] | |
| 8. | [illegible] | [illegible] | |
| 9. | [illegible] | [illegible] | 591449712. |
| 10. | [illegible] | [illegible] | 595357523 |
| 11. | [illegible] | [illegible] | 598-84-36-39 |
| 12. | [illegible] | [illegible] | 595 730210 |
| 13. | [illegible] | [illegible] | 593906417 |
| 14. | [illegible] | [illegible] | 597814775 |
| 15. | [illegible] | [illegible] | 593 220273 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 16. | [illegible] | [illegible] | 574-12-18-83 |
| 17. | [illegible] | [illegible] | 555-777-199 |
| 18. | [illegible] | [illegible] | 591918855 |
| 19. | [illegible] | [illegible] | 551554422 |
| 20. | [illegible] | [illegible] | 591449792 |
| 21. | [illegible] | [illegible] | 595063366 |
| 22. | [illegible] | [illegible] | 591449797 |
| 23. | [illegible] | [illegible] | 5-91-44-97-04. |
| 24. | [illegible] | [illegible] | 591-44-97-02 |
| 25. | [illegible] | [illegible] | 591-09-14-14 |

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) დოკუმენტების სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვა

ახალციხე, 18 თებერვალი, 2015

მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

| | სახელი, გვარი | ორგანიზაცია | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | [illegible] | 591-44-97-79 |
| 2. | [illegible] | მგფ | 577 78-22-13 |
| 3. | [illegible] | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 511 71 06 07 |
| 4. | [illegible] | მგფ | 577 727244 |
| 5. | [illegible] | მ.გ.ფ. | 577 112-118 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6. | [illegible] | [illegible] | 596 57 41 41<br>557 445 944 |
| 7. | [illegible] | [illegible] | 591 85 77 77<br>599 15 48 49 |
| 8. | [illegible] | [illegible] | arukhadze@mdf.org.ge |
| 9. | [illegible] | [illegible] | dtabidze@mdf.org.ge<br>551419205 |
| 10. | | | |
| 11. | | | |
| 12. | | | |
| 13. | | | |
| 14. | | | |
| 15. | | | |

53












რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
**(RDP III)**

<u>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიების და სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების მოკლე რეზიუმეს</u>

<u>საჯარო განხილვა</u>

ო ქ მ ი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა

დუშეთი, რუსთაველის ქუჩა N 27
18 თებერვალი, 2015 წელი

დღის წესრიგი:

| | | |
|---|---|---|
| 12:00 | შეხვედრის გახსნა | ნინო პატარაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სპეციალისტი |
| 12:10 | რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მესამე პროექტის (RDP III) მოკლე მიმოხილვა | ნინო პატარაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სპეციალისტი |
| 12:20 | ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიმოხილვა | ირაკლი კავილაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდის კონსულტანტი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე |
| 13:00 | ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების (SECHSA) მიმოხილვა , მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარებისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ანგარიში | ირაკლი კავილაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდის კონსულტანტი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე<br><br>ნინო პატარაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვის სპეციალისტი |
| 13:30 - 14:00 | დისკუსია | |

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ბექა ღარიბაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე
2. დუდაური ნიკო, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის განყოფილების გამგე

3. სინჯარაზე ემზარი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სპეც. არქიტექტორი
4. ზურა ყაჭიური, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და ეკონომიკის განვითარების სამსახურის უფროსი
5. ამირან მღერიშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სტატისტიკის ეკონომიური განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი
6. დოდო ჩოხელი, დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი
7. დუდაური რაჟდენი, დუშეთის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარებისა და სივრცითი მოწყობის მთავარი სპეციალისტი
8. ქეთევან წიკლაური, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
9. პაატა მიღდისელი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
10. შადი ხადადი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში
11. ზიზი პაპიაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო განყოფილების პიარ-მენეჯერი
12. თინათინ ცოცხალაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე
13. გიორგი ლაფანაშვილი, დუშეთის საკრებულოს თავმჯომარე
14. ტარიელ ჩხუტიაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი
15. მიხეილ კარიაული, გამგეობის თანამშრომელი, გამგებლის წარმომადგენელი კოორდინაციის საქმიანობის სამსახურის უფროსი
16. მერი ფოლადაშვილი, დუშეთის საკრებულოს დეპუტატი. ფრაქციის „თანადგომა" თავმჯდომარე
17. ვაჟა ჭინჭარაული, დუშეთის საკრებულოს სივრცითი, ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
18. ზურაბ რევაზიშვილი, ''ეკო-სპექტრი"
19. ხუციშვილი ბესიკი, ''მთისა და ბარის კავშირი"
20. დუდაური ოთარი, ''მთისა და ბარის კავშირი"
21. კურტანიძე ვანო, ორგანიზაცია „მოქალაქის" პროექტ „სტუდენტები თვითმმართველობისთვის" მონაწილე
22. ნიკა საბაშვილი, ორგანიზაცია „მოქალაქის" პროექტ „სტუდენტები თვითმმართველობისთვის" მონაწილე
23. რობო ნადირაძე, ორგანიზაცია „მოქალაქის" პროექტ „სტუდენტები თვითმმართველობისთვის" მონაწილე
24. მიხეილ წერეთელი, მონიტორინგის სპეციალისტი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
25. ელგუჯა კვანჭილაშვილი, სტაჟიორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
26. ნინო პატარაშვილი, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**ნინო პატარაშვილმა** გახსნა შეხვედრა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა შეხვედრის მიზნებზე. მან შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის (RDP III) თაობაზე, რომელიც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. აღნიშნული პროექტის ძირითადი მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება, სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონის ტურისტული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის უბნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მან განმარტა, რომ ეს არის ახალი პროექტი, რომელიც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და ის მსგავსია რეგიონული განვითარების პროექტებისა, რომლებიც ხორციელდება კახეთისა და იმერეთის რეგიონებში. ნ. პატარაშვილმა ისაუბრა პროექტის დაფინანსების შესახებ და აღნიშნა, რომ სავარაუდო ბიუჯეტი შემდეგნაირად არის განაწილებული: მსოფლიო ბანკის მხრიდან - 60 მლნ აშშ დოლარი, საქართველოს მთავრობის მხრიდან კი - 15 მლნ აშშ დოლარი, ჯამში 75 მლნ აშშ დოლარი. პროექტი განხოციელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და მოიცავს სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს. ნ.პატარაშვილმა მოკლედ მიმოიხილა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდებიან რგპ III-ს.

**ირაკლი კავილაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ RDP III ხვდება B კატეგორიის პროექტებში და შესაბამისად მის ფარგლებში მოხდება მხოლოდ B ან C კატეგორიის პროექტების დაფინანსება. მოკლედ განიხილა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლებიც ვრცელდება RDP III-ზე, ასევე განიხილა გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტების სტრუქტურა და შინაარსი, რომლებიც უნდა მომზადდეს ყველა ქვე-პროექტისათვის, რომლებიც განხორციელდება RDP III-ის ფარგლებში. ი. კავილაძემ ისაუბრა პროექტში ჩართული მხარეების გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობაზე; განიხილა გარემოსდაცვითი მართვის გეგმების საჯარო გამოქვეყნებისა და საჯარო კონსულტაციების პროცესები, რომლებიც ტარდება ქვე-პროექტებისთვის სპეციფიკური გარემოს მართვის გეგმების განხილვისათვის, ასევე გარემოსდაცვითი პროცედურები, რომლებსაც მგფ იყენებს ქვე-პროექტების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და განხორციელების ეტაპებზე.

ამის შემდეგ ი. კავილაძემ წარმოადგინა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია. აღნიშნა, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს RDP III-ის ფარგლებში განსახლებისა და მიწის შეძენის პრინციპებსა და პროცედურებს ყველა ტიპის განსახლებისათვის, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს RDP III-ის განხორციელების პროცესში, ასევე ქვეპროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების კატეგორიებსა და მათ უფლებებს, ანალიტიკურ სამუშაოს და დოკუმენტაციას, რომელიც უნდა მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორცილებამდე, განხორციელების პერიოდში და მის შემდეგ. განიხილა იძულებით განსახლებაზე მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკისა (OP/BP 4.12) და საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მან აღწერა განსახლების სამოქმედო გეგმების საჯარო განხილვების პროცედურები და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი.

შემდეგ ი.კავილაძემ ისაუბრა მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარებისა და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე ზეგავლენის სტრატეგიული შეფასების (SECHSA) შესახებ, რომელიც განხორციელდა იმისათვის, რომ RDP III-ის მომზადება და განხორციელება მოხდეს აღნიშნული სამთავრობო დოკუმენტების კონტექსტში. ი. კავილაძემ წარმოადგინა SECHSA-ს ანგარიშის მოკლე რეზიუმეს სამუშაო ვერსია და განმარტა ანგარიშის დასრულებამდე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცედურები სტრატეგიული შეფასების პროცესში გამოვლენილ ძირითად საკითხებზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ შეხვედრის მონაწილეებმა დასვეს შეკითხვები. ძირითადად შეკითხვები ეხებოდა პროექტების შერჩევისა და დაფინანსების პროცედურებს, პრიორიტეტებს. განსახლების საკითხებთან მიმართებაში დაინტერესება გამოიწვია კომპენსაციისა და ანაზღაურების მექანიზმება.

დასმული შეკითხვები და გამოთქმული კომენტარები:

| შეკითხვები: | კომენტარები: |
|---|---|
| როგორ ხდება პრიორიტეტების განსაზღვრა ქვე-პროექტების დაფინანსებისას? როგორია ქვე-პროექტის განხორციელების სრული ციკლი, რა ეტაპებია გასავლელი დასაწყისიდან ბოლომდე? არის თუ არა შეზღუდვები ვადებში? | ქვე-პროექტები ირჩევა მუნიციპალიტეტების საჭიროებებისა და აუცილებლობების გათვალისწინებით. რაიმე სტანდარტული ვადები და შეზღუდვები შერჩევისთვის არ არსებობს. თუ რაიმე ძალიან სასწრაფო პრობლემაა გადასაჭრელი, შესაძლებელია რეტროაქტიურად მოხდეს პროექტის დაფინანსება, თუკი ის წარმოდგენილია შესაბამისი სტანდარტისა და ხარისხის დაცვით. |
| როგორ ხდება დამპროექტებელი და სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორების შერჩევა? | კონტრაქტორის (როგორც მშენებელი, ისე საპროექტო ორგანიზაციის) შერჩევა ხდება ტენდერების გზით.<br>თუ მუნიციპალიტეტს უკვე მომზადებული აქვს დაგეგმილი ქვე-პროექტის სრულყოფილი პროექტი, მაშინ საჭირო აღარაა ტენდერის გამოცხადება საპროექტო ორგანიზაციის შერჩევის მიზნით. მუნიციპალიტეტი მზა პროექტს წარუდგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და ფონდი უზრუნველყოფს შემდგომ პროცედურებს.<br>თუკი მუნიციპალიტეტს არ შეუძლია დეტალური პროექტის წარმოდგენა, მაშინ მგფ თავად ერთვება პროექტის მომზადების პროცესში და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შესაბამისი პროექტების მომზადებას. |

| | |
|---|---|
| უმჯობესია, რომ დამპროექტებელი ორგანიზაციების შერჩევა ხდებოდეს კონკურსის გზით და არა ტენდერის. | კონკურსის წესით შერჩევას არ ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო. |
| რა მიზანს ემსახურება აღნიშნული პროექტის განხორციელება და როგორ აისახება იგი რეგიონზე? | პროექტის განხორციელების მთავარი ამოცანაა ინფრასტრუქტურული მომსახურეობის გაუმჯობესება და ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, ტურიზმზე ორიენტირებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის უბნების განვითარების ხელშეწყობისათვის. ეკონიმიკური აღმავლობის ღონისძიებათა კომპლექსის ნაწილია მთავრობის მიერ რამდენიმე ახალი ინიციატივის წამოწყება ქვეყნის შერჩეულ რეგიონებში კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ტურიზმი აღიარებული იქნა, როგორც ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვანი წყარო. პროექტის განხორციელების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დამატებითი ღირებულების შექმნა რეგიონისათვის ტურისტების რეგიონში მოზიდვის გზით. ტურისტული ნაკადის ზრდა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებში შემოსავლების ზრდას. |
| დუშეთს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს და ნორმებს, რაც წარმოშობს მოსახლეობის დაავადების რისკს. ხომ არ არის გათვალისწინებული დუშეთის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია და სათანადო აღჭურვა მოცემული პროექტის ფარგლებში? | აღნიშნული სისტემების რეაბილიტაცია RDP3-ის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან რეგიონული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები წარმოადგენს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის რეგულირების სფეროს.<br>როგორც ჩვენთვის ცნობილია, დუშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ხორციელდება EIB-ს დაფინანსებით, ხოლო კანალიზაციის სისტემის სამომავლო რეაბილიტაციის შესახებ მოცემულ მომენტში ინფორმაცია არ მოგვეპოვება. |
| ვინ ახორციელებს პროექტების გარემოსდაცვითი ნაწილის შეფასებას? ვის მიერ ხდება გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შემუშავება ამა თუ იმ პროექტისთვის? | B კატეგორიის ქვე-პროექტებისათვის, რომელბიც დაკავშირებული არიან შედარებით მაღალ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებთან, მოთხოვნილი იქნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის განხორციელება და გარემოსდაცვითი მართვის |

| | |
|---|---|
| | გეგმის მომზადება. დაბალის რისკის B კატეგორიის ქვე-პროექტებისათვის მომზადდება გამარტივებული გარემოსდაცვითი გეგმები. ნაკლებ მოსალოდნელ შემთხვევებში, როცა ქვე-პროექტის განხორციელებისათვის საჭირო იქნება გარემოზე ზემოქმედების ნებართვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდება გარემოზე ზემოქმედების სრულმასშტაბიანი შეფასება. გარემოსდაცვითი მართვის გეგმები იქნება სატენდერო დოკუმენტაციისა და კონტრაქტების შემადგენელი ნაწილი. |
| მუნიციპალიტეტებს ადეკვატურად თუ მიეწოდებათ ინფორმაცია მგფ-ის მხრიდან RDP III-ის ფარგლებში განსახორციელებელი ქვე-პროექტების შესახებ და ისინი თუ ფლობენ საკმაო ინფორმაციას პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებზე? | მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ შეხვედრებზე განხილული იყო ქვე-პროექტების დაფინანსების საკითხები. |
| რა პრინციპით ხდება განსახლება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ქონების შეფასება? | განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტი მომზადებულია მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. კომპენსაციას მიიღებს ყველა, ვიზეც უშუალოდ მოხდება ზემოქმედება პროექტის განხორციელებისას. კომპენსაციას მიიღებენ მიწის მესაკუთრეები და მიწის მოსარგებლეებიც, მაგრამ განსხვავებული იქნება კომპენსაციის ტიპი: მიწის ღირებულება გადაეცემა მხოლოდ მას, ვისაც გააჩნია რეგისტრირებული კერძო საკუთრება მიწაზე. სხვა შემთხვევაში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს კომპენსაცია გადაეცემათ ერთწლიანი კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების და სხვა სახის ეკონომიკური აქტივობის სანაცვლოდ მიწაზე ფორმალური უფლებების გარეშე.<br><br>ქონება შეფასდება საბაზრო ღირებულების მიხედვით ან აღდგენითი ღირებულებით. მაგალითად, მიწის ნაკვეთი შეფასდება საბაზრო ღირებულებით, ხოლო მრავალწლიანი ნარგავები აღდგენითი ღირებულებით. |
| შესაძლებელია თუ არა შეფასების გასაჩივრება? | რა თქმა უნდა შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია. ამისათვის არსებობს საჩივრების |

| | |
|---|---|
| | განხილვის ადგილობრივი სისტემა და ასევე სასამართლო. |

სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა და შეხვედრის სხვა მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას მგფ-ს, სამხარეო ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. შეხვედრის ბოლოს ნ. პატარაშვილის მიერ შეჯამებული იქნა შეხვედრაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები. მან აღნიშნა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების საბოლოო ვერსიები განთავსებული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. SECHSA-ს ანგარიშის მოკლე რეზიუმეც ასევე განთავსდება მგფ-ის ვებ-გვერდზე. SECHSA-ს ანგარიშის სამუშაო ვერსია მომზადდება ორ შერჩეულ რეგიონში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესის დასრულების შემდეგ და გამოქვეყნდება მგფ-ის ვებ-გვერდზე. ჩატარდება SECHSA-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე დაინტერესებული მხარეებისაგან შენიშვნებისა და კომენტარების მიღების მიზენით, რომელთა ასახვის შემდეგაც, დასრულებული ანგარიში გამოქვეყნდება მგფ-ის ვებ-გვერდზე.

ოქმი შეადგინა: ნინო პატარაშვილმა

დანართი 1. შეხვედრის მონაწილეების რეგისტრაციის ფურცელი

MDF
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) დოკუმენტების საბოლოო ვერსიების საჯარო განხილვა

დუშეთი, 18 თებერვალი, 2015

მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი

| | სახელი, გვარი | ორგანიზაცია | საკონტაქტო ინფორმაცია |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | "[illegible]" | [illegible] 555 26 81 08 |
| 2. | [illegible] | „[illegible]" | 551 555 875 |
| 3. | [illegible] | „[illegible]" | 599 51-45-48 |
| 4. | [illegible] | [illegible] | 599-55-65-81 |
| 5. | [illegible] | [illegible] | 551-53-94-64 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6. | [illegible] | [illegible] | 593 52 81 89 |
| 7. | [illegible] | [illegible] | 598 62 55 50<br>vanokurtanidze@gmail.com |
| 8. | [illegible] | [illegible] | |
| 9. | [illegible] | [illegible] | 598-77-17-64<br>robo_nadiradze@yahoo.com. |
| 10. | [illegible] | [illegible] | 591 92-12-32<br>zkachari@gmail.com |
| 11. | [illegible] | [illegible] | 591-11-45-07.<br>amizadeleerishvilamirani@gmailcom |
| 12. | [illegible] | [illegible] | 597 17 07 57 |
| 13. | [illegible] | [illegible] | p-557 32 33 57<br>kultura kultura@mail. ru |
| 14. | [illegible] | [illegible] | 595 15 64 85<br>tsotskhelashvili@yahoo.com |
| 15. | [illegible] | [illegible] | 577-55-11-33<br>choxelidodo@gmail.com |

| | | | |
|---|---|---|---|
| 16. | ვაჟა ჭინჭარაული | [illegible] | 595.503657<br>vchinchorauli@yahoo.com |
| 17. | ბექა ღარიბაშვილი | [illegible] | 595 22-96-45<br>bekagharibashvili@gmail.com |
| 18. | [illegible] | [illegible] | 591676458<br>m.kariauli@gmail.com |
| 19. | [illegible] | [illegible] | 591-53-71-49<br>lapanachvili@hotmail.com. |
| 20. | [illegible] | [illegible] | 577550556<br>paatamighdiseli@gmail.com |
| 21. | [illegible] | [illegible] | 569820066<br>shadi-khaddad@yahoo.com |
| 22. | [illegible] | [illegible] | 577-39-96-39<br>551-85-15-05 |
| 23. | [illegible] | [illegible] | 591-13-77-97 |
| 24. | [illegible] | [illegible] | 5-95-15-64-80<br>m.photolashvili@mail.ru |
| 25. | [illegible] | [illegible] | 591-11-39-74<br>tchkhutiashvili@mail.ru. |

შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა















